



სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი



სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
აკადემიური წლის ანგარიში
2022-2023 აკადემიური წელი

ელ-ფოსტა: info@sabauni.edu.ge

ვებ-გვერდი: www.sabauni.edu.ge

ტელ: (+995 32) 2 42 22 42

მისამართი: კ. ქუთათელაძის ქ. №3, თბილისი, 0186

შინაარსი

| | |
|--|----|
| სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 3 |
| ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი | 11 |
| სამართლის ფაკულტეტი | 17 |
| მედიცინის ფაკულტეტი | 19 |
| თეოლოგიის ფაკულტეტი..... | 21 |
| აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერი | 26 |
| სასწავლო პროცესის მართვისსამსახური..... | 37 |
| ბიბლიოთეკა..... | 38 |
| უცხო ენების ცენტრი | 40 |
| საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი | 41 |
| ხარისხის მართვის სამსახური | 43 |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური..... | 47 |
| ორბელიანის აკადემია..... | 53 |
| სტუდენტურ საქმეთა მენეჯერი | 56 |
| ადამიანური რესურსების მართვის სამსახური | 58 |
| იურისტი | 63 |
| საქმისწარმოების მენეჯერი | 63 |

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2022-2023 სასწავლო წლის ოქტომბერში მოხდა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეორგანიზაცია, რის შედეგადაც სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა განაგრძო ოთხი საგანმანათლებლო პროგრამის (საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა) ეფექტური განხორციელება. გარდა ამისა, აკრედიტაციის მიღების მიზნით, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამასა და ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მუშაობის პროცესი.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი და დეკანის თანაშემწე თითოეული სემესტრის დასაწყისში და სემესტრის მანძილზე, სისტემატიურად ახორციელებდნენ სტუდენტებთან შეხვედრებს აკადემიური რეგისტრაციების, სხვა სპეციფიკებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და განხილვის მიზნით. სტუდენტთა საჭიროებებისა და ინტერესების გამოკვეთა და დადგენა სტუდენტებთან შეხვედრების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა. შეხვედრები დისკუსიის ფორმატში მიმდინარეობდა, რა დროსაც სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ინტერესის სფეროები და საჭიროებები დაეფიქსირებინათ და ასევე მოსაზრებები გამოეთქვათ; მაგალითად, ამავე შეხვედრების ფორმატში შესაძლებელი იყო სტუდენტების ინტერესის საგნის გამოკვეთა კურიკულუმსგარე აქტივობების მიმართულებითაც, რომელთაც შემდგომში აქტიურ რეჟიმში გეგმავდა და ახორციელებდა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია დეკანის, დეკანის თანაშემწისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების ჩართულობით, სტუდენტებისა და აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალისთვის მართავდა საინფორმაციო შეხვედრებს სასწავლო პროცესთან, საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსთან და კურიკულუმთან და/ან სხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. ამასთანავე, სისტემატიური სახე ჰქონდა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ ან/და მოწვეულ პერსონალთან სასწავლო პროცესის განვითარებისა და დახვეწის მიზნით შეხვედრებს, მათი საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად.

საანგარიშო პერიოდში სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით, თვეში ერთხელ ან მეტჯერ (საჭიროებისამებრ) ჩატარდა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომები, რომელთა დღის წესრიგი განისაზღვრა როგორც არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებში



ცვლილებების განხორციელების, ასევე აკრედიტაციის მიღების მიზნით ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამისა და ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში პოტენციური დამსაქმებლებისთვის, პროგრამებში ჩართული აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალისთვის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის პროგრამის მიზნებისა და შედეგების, კურიკულუმის გაცნობისა და მათგან რეკომენდაციების მიღებისა და მოსაზრებების გაზიარების მიზნით. არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებში ცვლილებების შეტანა განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით. კერძოდ, სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესისა და გარემოს, სტუდენტის მიერ აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალის, აგრეთვე, აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესისა და გარემოს გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისა და დეკანის რეკომენდაციების თანახმად, ცვლილებები ძირითადად წარმოდგენილი იყო ძირითადი ლიტერატურის განახლების, უკვე არსებული ლიტერატურის უახლესი გამოცემებით ჩანაცვლების, შეფასების მეთოდებისა და ფორმების ცვლილების, კურსის შინაარსის განახლების სახით, რომელთა განხორციელების ძირითადი მიზანს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების დახვეწა და განახლება წარმოადგენდა. სტუდენტთა საჭიროებებისა და ინტერესთა დაცვის მიზნით, ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით დამტკიცდა სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა, ნათია ლეკიაშვილმა და პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა, სალომე ტვილდიანმა Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ერთი სემესტრი ოლომოუცის პალაცის სახელობის უნივერსიტეტსა (ჩეხეთი) და კრაკოვის აკადემია იგნატიანუმში (პოლონეთი) ისწავლეს. ამავე დროს, Erasmus+ პერსონალის სასწავლო მობილობის პროგრამის ფარგლებში, ფაკულტეტის ადმინისტრაციამ საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერთან ერთად უმასპინძლა:

- ოლომოუცის პალაცის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს, იაროსლავ ფრანკის. ჩეხმა პროფესორმა ვიზიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრები გამართა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან ასოცირებულ პროფ. თამარ ქობულაძესთან, სადაც მხარეებმა განიხილეს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების გზები და ერთობლივი პროექტები. პროფ. იაროსლავმა ასევე მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციებში. რიგით მე-6 სიმპოზიუმში „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“, ჩეხმა სტუმარმა წაიკითხა მოხსენება „ქრისტიანული მემკვიდრეობა ჩეხეთში: ევროპული პერსპექტივა“. ხოლო რიგით მე-6



საერთაშორისო კონფერენციაზე „სამართალი და გლობალური უსაფრთხოება“ ისაუბრა თემაზე „პაპის ავტორიტეტი და საზოგადოება სოციალური მედიის ეპოქაში“. პროფ. იაროსლავ ფრანკი დაესწრო საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ მრგვალ მაგიდას და აქტიურად იყო ჩართული დისკუსიაში.

- ხორვატიის კათოლიკური უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის პროფესორს, ლუკა სესოს. Erasmus+ პერსონალის სასწავლო მობილობის პროგრამის ფარგლებში იმსჯელებს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების გზებზე. დაიგეგმა Erasmus+ პროექტში მონაწილეობა, კონფერენციებისა და საზაფხულო სკოლების შესახებ ინფორმაციის გაცვლა და ქართული და უცხოელი სტუდენტებისა და პროფესორების მოწვევა.
- ტორუნის ნიკოლას კოპერნიკის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებისა და უსაფრთხოების კვლევების ფაკულტეტის პროფესორს, იოანნა პიეხოვიაკ- ლამპარსკა, ვინც გარდა პერსონალური შეხვედრებისა, ვიზიტის პერიოდში აქტიურად ჩაერთო სწავლების პროცესშიც. საბაუნის სტუდენტებისა და თავისუფალი დამსწრეებისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე - „საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ“.
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა, თამარ ქობულაძემ, მონაწილეობა მიიღო ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტში (საფრანგეთი) გამართულ „Erasmus+ საერთაშორისო კვირეულში. კვირეულის ფარგლებში განიხილეს ორი მნიშვნელოვანი საკითხი: სწავლების პროცესში ინოვაციები; მდგრადი განვითარება. ღონისძიებაში მონაწილეობდა მსოფლიოს 23 ქვეყნის 60-მდე წარმომადგენელი. Erasmus+ საერთაშორისო კვირეული, ტრენინგებით და მასტერკლასებით დატვირთული ძირითადი პროგრამის პარალელურად, მოიცავდა: „ამობრუნებული საკლასო ოთახის“ სადემონსტრაციო ლექციას; საუნივერსიტეტო კამპუსის, ეკოლოგიურად სუფთა შენობების - ლაბორატორიებისა და ობიექტების მონახულებას და ტექნიკური აღჭურვილობის (BIM, smart grids, etc) დემონსტრირებას; სწავლების თანამედროვე ტექნიკებისა და ინოვაციური სოციალური პროექტების გაცნობასა და რაც მნიშვნელოვანია, უცხოელ კოლეგებთან პროფესიული კონტაქტების დამყარებასა და გაღრმავებას.
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა შორენა გოგიაშვილმა საბაუნის აკადემიური პერსონალისთვის განკუთვნილი გაცვლითი პროგრამის Erasmus+ ფარგლებში კრაკოვის აკადემია იგნატიაუნუმი (პოლონეთში) ჩაატარა ლექციები პოლონელი

სტუდენტებისათვის და შეხვდა მასპინძელი უნივერსიტეტის ენების ინსტიტუტის წარმომადგენლებს სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასისტენტი განვითარების ფსიქოლოგიის მიმართულებით, თეონა ნუცუბიძე, ERASMUS+ პერსონალის მობილობით იმყოფებოდა რუჟომბეროკის კათოლიკურ უნივერსიტეტში, სადაც ერთი კვირის მანძილზე სამუშაო შეხვედრები გამართა მასპინძელი უნივერსიტეტის სხვადასხვა განყოფილების წარმომადგენლებთან. ვიზიტის დროს თეონა ნუცუბიძე შეხვდა საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებასთან ურთიერთობების, რექტორისა და ფსიქოლოგიის დეპარტამენტების წარმომადგენლებს. ფსიქოლოგიის დეპარტამენტთან შეხვედრისას მხარეებმა ისაუბრეს ფაკულტეტების საქმიანობაზე, ერთობლივ ინტერესსა და სამომავლო თანამშრომლობის ფორმებზე.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა და აკადემიურმა ან/და მოწვეულმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კვლევითი პროექტში: Threats to Democracy: Nationalism, Populism, Extremism and Christianity's Response to Them, რომელიც მიეძღვნა დემოკრატიის გამოწვევებისა და საფრთხეების კვლევას თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით.

საერთაშორისო კვლევითი პროექტი „Threats to Democracy: Nationalism, Populism, Extremism and Christianity's Response to Them“ გულისხმობდა სტუდენტთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის ვიზიტს სხვადასხვა ლოკაციაზე და იქ მოხსენებების წარდგენას. აღნიშნულ პროექტში სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ჩართული იყვნენ: მარიამ ელიაძე, ლია გელაშვილი, ალბინა ალაპიშვილი, ჯემალ გაბიტაშვილი, ივიკო ვასილევ. კონფერენციის გამართვის მიზნით შერჩეული იყო კრაკოვი (პოლონეთი), პარიზი (საფრანგეთი) და ჰერდორფი (გერმანია). პოლონეთში ვიზიტისთვის განკუთვნილი იყო შემდეგი თარიღი: 29 ნოემბერი-03 დეკემბერი, 2022 წელი. გერმანიაში პროექტი განხორციელდა 01 მაისიდან 05 მაისის ჩათვლით, ხოლო საფრანგეთში - 26-29 ივნისი, 2023 წელი. კრაკოვში გაიმართა სიმპოზიუმი, სადაც მოხსენებით წარსდგნენ საერთაშორისო კვლევითი პროექტის მონაწილე ქვეყნების აკადემიური პერსონალი, ხოლო გერმანიასა და საფრანგეთში მოხსენებები წარადგინეს თითოეული ქვეყნის უნივერსიტეტების სტუდენტებმა, ხოლო პროფესორებმა მოდერაცია გაუწიეს პანელურ დისკუსიებს.

საერთაშორისო კვლევითი პროექტის მიზანია:

დემოკრატიის საფრთხეების, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემატიკის აქტუალიზაცია და მისი პრობლემის წარმოჩენა თეოლოგიურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, კულტურულ და



ეკონომიკურ ასპექტებში; მოცემული პროცესების გაანალიზება პოზიტიურ და ნეგატიურ ჭრილში საქართველოში, პოლონეთში, გერმანიასა და უნგრეთში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით; საერთაშორისო საზოგადოებაში სტუდენტების/ახალგაზრდა მკვლევარების სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვა და უფრო სიღრმისეულად დაინტერესება; პროექტის მონაწილეთა უცხო ქვეყნის ისტორიის, პოლიტიკური და რელიგიური თავისებურებების შესწავლა/შემეცნება და ინტერკულტურული ურთიერთობების დამყარება.

საერთაშორისო კვლევითი პროექტის ორგანიზატორები არიან: კრაკოვის იოანე პავლე მეორის სახელობის პონტიფიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი), სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი (საქართველო) და ერფურტის უნივერსიტეტი (გერმანია).

საერთაშორისო კვლევითი პროექტი, რომელიც დემოკრატიის საფრთხეებისა და გამოწვევების კვლევას დაეთმო, 2022 წლის დეკემბერი-2023 წლის ივნისის პერიოდის შუალედში განხორციელდა სამ ეტაპად პოლონეთში, გერმანიასა და საფრანგეთში, სადაც წარმოდგენილი საკონფერენციო მოხსენებები საერთაშორისო კვლევითი პროექტის ჟურნალში გამოქვეყნდება.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რამდენიმე ე.წ. „ღია კარის“ დღე, როგორც სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში (კერძოდ, მიმდინარე წლის 17 თებერვალს, 11 მარტს ახალციხის რინის სკოლების მოსწავლეებისთვის, 9 ივნისს- „Gen-Z აკადემიის“ წარმომადგენლებისთვის); ისე ორბელიანის აკადემიასთან თანამშრომლობით თბილისის და რეგიონების საჯარო სკოლებში ვიზიტები და გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები კერძოდ, ზუგდიდის საუნივერსიტეტო ხეივანში, ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრში; ძეგვის საჯარო სკოლაში, წეროვანის #1 საჯარო სკოლაში, ქ. გორის საჯარო სკოლებში, ქ.თბილისის 174, 113-ე, მე-60 და 107-ე საჯარო სკოლებში; ედისონის სახელობის სკოლა „ნოვაცია“-ში. შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელები, აკად. პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობით, მიზნად დაისახა სხვადასხვა სახისა და შინაარსის კურიკულუმსგარე აქტივობისა და სამეცნიერო ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნულ კატეგორიაში მოიაზრება როგორც საჯარო ლექციების, ტრენინგ-კურსების, პანელური დისკუსიების, სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციებისა და სხვ. განხორციელება, ასევე ჟურნალების, თარგმანებისა და სხვ. გამოცემა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტზე ჩატარდა არაერთი კურიკულუმსგარე აქტივობა, მათ შორის საჯარო ლექციები, ტრენინგები, სადისკუსიო პანელები, საუნივერსიტეტო და



საფაკულტეტო სტუდენტური კონფერენციები, კონკურსები, წიგნის პრეზენტაცია და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. კერძოდ: სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნა სასერტიფიკატო კურსების ციკლი, მაგალითად: დემოკრატიის მხარდაჭერის ცენტრის მიერ (Democracy Endorsement Center (DEC)) 2023 წლის აპრილში, მაისსა და ივნისში დემოკრატიის/ევროინტეგრაციის, მართლმსაჯულებისა და კორუფცია/ნეპოტიზმის საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების სერია. აგრეთვე, 2023 წლის 22 თებერვალს USAID/EWMI სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის ფარგლებში 16 კვირიანი საუნივერსიტეტო კურსი (Strategies of Non-Violent Movements: Analyzing Civil and Social Campaigns) განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, სადაც საბაუნის მაღალი აკადემიური მოსწრებისა და მოტივაციის მქონე სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. საუნივერსიტეტო კურსი 16 კვირის (3 თვე) მანძილზე მიმდინარეობდა.

პირველ მარტს საჯარო ლექცია გაიმართა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების მნიშვნელობასა და ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის გაცნობასთან და სოციალური მედიის, როგორც პოლიტიკური გავლენის ინსტრუმენტთან დაკავშირებით. შეხვედრას უძღვებოდნენ ნინო დოლიძე -სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი და ნინი გვილია ISFED-ის სოციალური მედიის მონიტორინგის პროექტის ხელმძღვანელი; 14 მარტს გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „თვითთანაგრძნობა - რატომ არის მნიშვნელოვანი, გავხდეთ ჩვენივე თავის საუკეთესო მეგობარი?“ რომელსაც უძღვებოდა ნინო მარგველაშვილი - ნეიროფსიქოლოგი, Shanker Self-Reg® მეთოდის ოფიციალური ფასილიტატორი და გონების სისავსის პრაქტიკის მასწავლებელი; ორგანიზაცია "კაიკონას" თანადამფუძნებელი; 22 მარტს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტში, სადაც დაათვალიერეს საკანონმდებლო ორგანოს შენობა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართული პარლამენტარიზმის მუზეუმი. 24 მარტს, თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის ინიციატივით გაიმართა სადისკუსიო პანელი თემაზე: „უკრაინის ომის პოლიტიკური, სამართლებრივი და რელიგიური ასპექტები და საქართველო“; 28 აპრილს გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე "ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში", რომელიც ინტერდისციპლინური გახლდათ და შესაბამისად, მონაწილეობა მიიღეს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა; 8 მაისს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა სტუდენტური კონფერენცია თემაზე „დიპლომატები“; 10 მაისს გაიმართა შეხვედრა ახალი ეკონომიკური სკოლის პრეზიდენტთან, პაატა შუმელიძესთან და ბიზნესმენ ნოდარ ჩინჩალაძესთან. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა წიგნის



"ჯონათან გალიბლის თავგადასავალი" პრეზენტაციაც; 2 ივნისს გაიმართა „საჯარო ლექცია ევროპა-რუსეთის ურთიერთობის ფილოსოფიური პერსპექტივის განხილვისათვის" ლექციას უძღვებოდა პოლონეთიდან მოწვეული მომხსენებელი ზიმოვიტ გოვინი, ეინ რენდის ინსტიტუტის უმცროსი მკვლევარი. 27 მაისს გაიმართა ტრენინგი „კონფლიქტი და მოლაპარაკება". ტრენინგს უძღვებოდა ფსიქოლოგი, საბაუნის მოწვეული ლექტორი ლოლიტა შენგელია. 3 ივნისს, გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: "სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები". ლექციას გაუძღვა ექსპერტი ადამიანის უფლებების საკითხებში - ნატი გელოვანი.

სტუდენტების კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით, 13 ივნისს ჩატარდა V საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც საბაუნის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და წმინდა ანდრიას ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებიც იღებდნენ.

21 ივლისს გაიმართა სტუდენტების შეხვედრა საერთაშორისო მდგრადი აკადემიის კონკურსში პირველ ქართველ გამარჯვებულ მონაწილესთან - თამარ აბზიანიძასთან, რომელმაც სტუდენტებს ნარჩენების გადამუშავების საკითხზე საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და დაინტერესებულ პირებს კონკურსში მონაწილეობის პირობები გააცნო.

სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა მიიღეს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა, კერძოდ: ასოცირებულმა პროფესორმა შორენა გოგიაშვილმა 2023 წლის 6-7-8 მარტს მონაწილეობა მიიღო ვალენსიაში (ესპანეთი) გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში „17th International Technology, Education and Development Conference" და 2 დღის განმავლობაში წარადგინა ორი მოხსენება თემებზე: (1) „THE IMPACT OF LECTURERS' INVOLVEMENT IN TRAINING ON LEARNING OUTCOMES DEVELOPMENT ON THEIR STUDENTS' ACADEMIC ACHIEVEMENT" და (2) „STAKEHOLDERS' INVOLVEMENT IN THE DESIGN AND FURTHER DEVELOPMENT OF LEARNING OUTCOMES"; 2023 წლის 25-26 მაისს, უკრაინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის „Zhytomyr Polytechnic University (Ukraine) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ონლაინ კონფერენციაში II International Scientific and Practical Conference „APPLIED LINGUISTICS 3D:LANGUAGE, IT, ELT" და წარადგინა მოხსენება თემაზე: „Visual Learners and Online Learning Impact on Their Academic Performance";

აფილირებულმა ასისტენტმა მარიამ ელიაძემ მონაწილეობა მიიღო: 1) 2023 წლის პირველ მარტს უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ონლაინ კონფერენციაში „Resilience and Democracy"; <https://www.youtube.com/watch?v=ZYRK44zfk0>; 2) 2023



წლის 9 ივნისს საბაუნის სამართლის ფაკულტეტის მიერ გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში „სამართალი და გლობალური უსაფრთხოება“.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობდა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 14-15 ნოემბერს დაგეგმილი პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის First International Scientific Conference, Societies in Transition, In Search of Peace and Well-being ორგანიზება;

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული აკადემიური პროსონალის მიერ მოპოვებული იქნა შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი გრანტები:

- „The Centrality of Religiosity and Attitudes Towards Gambling, Involvement in Gambling, and Gambling Disorder: A Comparative Polish- Georgian Study) #1/6-20-23-05-0611-0003-1074; გრანტის გამცემი: ლუბლინის იოანე პავლე II კათოლიკური უნივერსიტეტის გრანტი; პროექტის ძირითადი ხელმძღვანელი - Rafał Bartczuk; ჯგუფის წევრები: Tamar Kobuladze, Ph.D. co- investigator of the grant; საქართველოში დაგეგმილი კვლევის ხელმძღვანელი. ჯგუფის წევრები: Bernadeta Lelonek-Kuleta, Ph.D. Department of Social Psychoprevention at John Paul II Catholic University of Lublin; Consultants: Daria Kuss, Ph.D, Associate Professor, Psychology Department at Nottingham Trent University (UK); Sylvia Kairouz, Ph.D, Full Professor, Sociology and Anthropology. დეტალები:<https://pracownik.kul.pl/rafal.bartczuk/wiecej>;
- საგრანტო პროექტი „სამუშაოზე ფსიქოსოციალური რისკების შეფასება“ / Psychosocial Risk Assessment in the Workplace ; #GFI-23-008; 10.04.2023; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი (გრანტი მოაზრებს საფრანგეთში, ბორდოს უნივერსიტეტში პოსტ-სადოქტორო კვლევის განსახორციელებას);
- Renovabis (რენოვების) საგრანტო დაფინანსება - საბაუნის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასისტენტის მირანდა ცერცვაძის, ვენის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, მიშელ მუსხელის ევროპული კვლევების ცენტრის მხარდაჭერით, გამოიცა აფილირებული, ასოცირებული პროფესორის, ავთანდილ ჯოხაძის წიგნი - „ლიბერალიზმის წინაპირობები ქართულ ისტორიაში“. წიგნის პრეზენტაცია გაიმართა 2023 წლის 12 აპრილს.



მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა შორენა გოგიაშვილის სამეცნიერო ნაშრომები: (1) „Stakeholders’ involvement in the design and further development of learning outcomes“. doi: 10.21125/inted.2023.0481 ; ISBN: 978-84-09-49026-4, ISSN: 2340- 1079; გამომცემლობა IATED; INTED Proceedings, pp. 11696-1705. March 6-8.2023 Valencia, Spain. ინგლისური; (2) „The impact of lecturers’ involvement in training on learning outcomes development on their students’ academic achievement“. INTED Proceedings, pp. doi: 10.21125/inted.2023.0479

აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებიდან გამომდინარეობს და მათთან სრულ შესაბამისობაშია.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

2022-2023 სასწავლო წელს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მოქმედებდა ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი საბაკალავრო, ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო, ტურიზმის საბაკალავრო, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო და ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამები.

დისტანციური სწავლების რეჟიმიდან ადგილზე სწავლების რეჟიმზე გადასვლის პროცესმა წარმოშვა რიგი ცვლილებების საჭიროება, რასაც მოჰყვა აქტიური შეხვედრები და კონსულტაციები ფაკულტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სასწავლო პროცესის განვითარებისა და დახვეწის მიზნით. გაიმართა შეხვედრები, სადაც ლექტორებს წარედგინათ პერსონალისა და სასწავლო პროცესის შეფასების ანგარიშები, რომლის საფუძველზეც გამოვლინდა ხარვეზები და შემუშავდა მათი გადაჭრის გზები. ცვლილებები შეეხო სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმებსა და ლიტერატურას.

პროგრამების წარმატებით განხორციელებისა და სწავლის პროცესში სტუდენტთა მაქსიმალურად ჩართვის მიზნით, ჩატარდა ფაკულტეტის საბჭოს 14 სხდომა.

2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მზადება ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისთვის. 2022 წლის 7 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის დამსაქმებლებთან, სადაც რამდენიმე წამყვანი კომპანიის წარმომადგენელი იყო მოწვეული, რომლებიც ასევე აქტიურად არიან ჩართულები „პრაქტიკის“ განხორციელებაში. მათ პროგრამის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის დეკანს გაუზიარეს



გამოცდილება, მოლოდინები, მოსაზრებები და რეკომენდაციები, ასევე მოახსენეს ის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც ტურიზმის პროგრამის სტუდენტებში გამოხატულია თანამშრომლობის ფარგლებში. შეხვედრის შედეგად მომზადდა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამებთან დაკავშირებული დამსაქმებელთა რეკომენდაციების დოკუმენტი.

სტუდენტებთან, პერსონალთან და დამსაქმებლებთან კონსულტაციების შედეგად შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა, სავალდებულო და არჩევითი საგნების მოცულობა, პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები, განახლდა სილაბუსები.

2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში განახლდა და გაფორმდა ახალი მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო კურსის „პრაქტიკის“ განხორციელებას.

გაკეთდა განაცხადი განათლების სამინისტროს აკრედიტაციის საბჭოზე ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მიზნით. 2023 წლის ივნისში ტურიზმის პროგრამას მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია.

2023 წლის 22 ივნისს ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაში აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე მომზადდა ცვლილებების პაკეტი, რომლის ანარიშიც წარედგინა აკრედიტაციის საბჭოს.

გაზაფხულის სემესტრში ბაკალავრიატის საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს სავალდებულო კომპონენტის - პრაქტიკის დაცვის მიზნით, სტუდენტებს მიეცათ ფართო არჩევანის შესაძლებლობა, სურვილის მიხედვით გაევიდნენ პრაქტიკა სასურველ ობიექტზე. მათ სემესტრის ბოლოს წარმოადგინეს ანგარიშები და პრაქტიკის საჯარო დაცვა განხორციელდა კომისიის წინაშე.

გაზაფხულის სემესტრის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის სავალდებულო კომპონენტის - საბაკალავრო ნაშრომის დაცვის მიზნით, სემესტრის დასაწყისშივე მოხდა სტუდენტების მხრიდან სასურველი მიმართულების, ხელმძღვანელისა და პროექტის არჩევა. სემესტრის დასრულებისას სტუდენტებმა საბაკალავრო პროექტები წარმოადგინეს საჯარო დაცვაზე. ასევე განხორციელდა სამაგისტრო ნაშრომების დაცვა როგორც გაზაფხულის, ისე შემოდგომის სემესტრში.

ფაკულტეტზე სასწავლო წლის განმავლობაში გამოვლინდა 12 სტიპენდიანტი, წინა სემესტრის მაჩვენებლების მიხედვით (ფაკულტეტზე მოქმედებს საბას სტიპენდია, ბაზისბანკის სტიპენდია და ფაკულტეტის სტიპენდია).



2022-2023 წელს საქართველოში პირველად, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა გემიფიკაციის ცენტრი. გემიფიკაციის ცენტრის მისიაა, ხელი შეუწყოს გემიფიკაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და მისი ტექნიკების დანერგვას ბიზნესის, მარკეტინგის, ტურიზმისა და განათლების სფეროში. გემიფიკაციის ცენტრის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა პროექტი (დეტალურად იხილეთ ქვემოთ).

კურიკულუმს გარე აქტივობები:

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი აქტიურია კურიკულუმს გარე აქტივობებით, რომლებშიც სტუდენტები დიდი ინტერესით ერთვებიან და ცდილობენ პრაქტიკული უნარების განვითარებას. ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო აქტივობა:

მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ფაკულტეტზე მოქმედი განვითარების კვლევების ინსტიტუტის (IDS) ორგანიზებით გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მდგრადი განვითარება: ინიციატივები, გადაწყვეტილებები, ღონისძიებები კეთილდღეობის ზრდისთვის“. კონფერენციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და მოხსენები წარადგინეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისის“ წარმომადგენლებმა, მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა.

მე-10 სტუდენტური კონფერენცია - ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტმა ტრადიციულად ჩაატარა სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები იღებდნენ. კონფერენციაზე გამოვლინდნენ საუკეთესო მოხსენების ავტორები, რომელთა ნაშრომები დაიბეჭდება კრებულში.

ყოველწლიური ბიზნეს მარათონი, რომელის ფარგლებში გაერთიანებულია ბიზნეს კონკურსები:

- სასკოლო სამეწარმეო იდეების კონკურსი-გაიმართა ბიზნეს მარათონის ფარგლებში. კონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მასშტაბით 50-ამდე სხვადასხვა სკოლის მოსწავლეების ჯგუფმა (მე-10, მე-11 და მე-12 კლასი). კონკურსის მიზანი იყო საინტერესო, ინოვაციური ბიზნეს იდეების მქონე მოსწავლეების აღმოჩენა, წახალისება და ხელშეწყობა. გამარჯვებული იდეები ჯილდოვდება ფულადი და სხვა პრიზებით.
- სტუდენტური სამეწარმეო იდეების კონკურსი - გაიმართა ბიზნეს მარათონის ფარგლებში. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ საბაუნის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები. გამარჯვებული იდეები დაჯილდოვდა ფულადი და სხვა პრიზებით.



ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და განვითარების კვლევების ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარი თემაზე:

- European Green Deal (EGD) and Next Generation EU (NGEU) programs for the sustainable future;
- Green Transition: Opportunities and Challenges for the Firms in the Case of Italy.

მომხსენებელი: ჯოვანი ფერი, ლუმსას უნივერსიტეტის პროფესორი (იტალია).

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლობით, გაიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავჯდომარის მოადგილის ელისო გელაშვილის შეხვედრა სტუდენტებთან, ადმინისტრაციასთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. შეხვედრის ფარგლებში განხილული თემები: საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და ბიზნესის რეგისტრაციის საკითხი, სააგენტოს საქმიანობისა და მნიშვნელოვანი პროექტების გაცნობა, მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის მიმდინარეობა, დამისამართების რეფორმის მიმდინარეობა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონით გათვალისწინებული რეგულაციების შესრულების და სხვა აქტუალური საკითხები. ასევე, საჯარო რეესტრის წარმომადგენლებმა სტუდენტებს გააცნეს დასაქმების შესაძლებლობები საჯარო რეესტრში.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე საფუძველი ჩაეყარა სასერტიფიკატო კურსების განვითარებას, კეროდ, განვითარების კვლევების ინსტიტუტთან თანამშრომლობით ჩატარდა ერთთვიანი სასერტიფიკატო კურსი თემაზე: „ბიზნესის დაგეგმვა და მენეჯმენტი“. კურსის ფარგლებში გადამზადდა „თიბისი დაზღვევის“ 20-მდე თანამშრომელი. კურსის მიზანს წარმოადგენდა, მსმენელებისთვის როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავება, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება მენეჯმენტის, სტრატეგიული დაგეგმვის, ბიზნესგეგმის შემუშავების, ასევე მარკეტინგული კომუნიკაციის, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მიღების პროცესის სტრუქტურისა და პროცედურების მიმართულებით.

ფაკულტეტისა და გემიფიკაციის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგები სხავდასხვა თემაზე:

- დროის მართვა და პრიორიტეტების განსაზღვრა თანამედროვე ცხოვრებაში;
- ლიდერობა და გუნდურობა გემიფიკაციის მეთოდებით;
- პრეზენტაციის თანამედროვე ტექნიკა .

ტურიზმის პროგრამის სტუდენტებმა და ლექტორებმა მონაწილეობა მიიღეს სამცხე-ჯავახეთის „პურის ფესტივალში“. ფესტივალის მიზანი იყო სამცხე-ჯავახეთის რეგიონის აგროტურისტული პოტენციალის წარმოჩენა. მონაწილე სტუდენტებმა ფესტივალის შემდგომ მოამზადეს



აგროტურისტული სერვისის მომწოდებლების ბაზა, რომელიც გადაუგზავნეს საქართველოს ტურიზმის ასოციაციას.

სასწავლო კურსის „რეკრეაცია და სამკურნალო ტურიზმი“ ფარგლებში საბაუნის ტურიზმის პროგრამის სტუდენტები იმყოფებოდნენ გასვლით ლექციაზე. ლექციის ფარგლებში სტუდენტებმა მოინახულეს აბანოთუბანი და თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი.

სასწავლო კურსის "სასტუმროს მენეჯმენტი" ფარგლებში საბაუნის ტურიზმის პროგრამის სტუდენტები იმყოფებოდნენ გასვლით ლექციაზე თემით: „სასტუმრო მეურნეობის განვითარების ისტორია საქართველოში“. ლექციის ფარგლებში სტუდენტებმა მოინახულეს თბილისის XVIII-XIX საუკუნის სასტუმროები.

სასწავლო კურსის „ლოგისტიკა“ ფარგლებში საბაუნის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა მოინახულეს კომპანია „ასკანელის“ წარმოება და მეურნეობა.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და კვლევითი პროექტები:

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აფილირებულმა პროფესორებმა მონაწილეობა მიიღეს და მოხსენებით წარდგინეს 13 საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაზე.

ფაკულტეტის აფილირებული პროფესორების მიერ სტატიები გამოქვეყნდა 5 ადგილობრივ და 8 საერთაშორისო ჟურნალში.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თამთა მიქაბერიძე, ნოტრ დამის უნივერსიტეტში (აშშ) მიწვეული იყო პროფესორის რანგში ლიდერობის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. მან ასევე მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებაში, სადაც განხილული იყო მონაწილე უნივერსიტეტების სამომავლო განვითარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აფილირებულმა პროფესორმა, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა და განვითარების კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელი პროფესორმა ნინო პაპაჩაშვილმა მოიპოვა ნოდტრ დამის უნივერსიტეტის(აშშ) სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებმა ნანკა ალაპიშვილმა და თამთა გოგოლაძემ მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კვლევითი პროექტის ფარგლებში, კრაკოვში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში თემაზე - **Threats to Democracy: Nationalism, Populism, Extremism and Christianity's Response to Them.**



ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა რუსუდან პაპიძემ მონაწილეობა მიიღო კიევის ეროვნული ეკონომიკური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში.

განსაკუთრებით აქტუალურია უნივერსიტეტსა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე Erasmus + გაცვლითი პროგრამები, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტებისთვის:

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა თორნიკე ძირკველიშვილმა Erasmus + ფარგლებში გაცვლით პროგრამით გაზაფხულის სემესტრში სწავლა გააგრძელა ლილის უნივერსიტეტში (საფრანგეთი).
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აფილირებული პროფესორი დიმიტრი კობახიძე Erasmus + აკადემიური მობილობის ფარგლებში იმყოფებოდა პოლონეთში.
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აფილირებული პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი Erasmus+ აკადემიური მობილობის ფარგლებში იმყოფებოდა ლუმსას უნივერსიტეტში(იტალია).

გამოცემები:

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და განვითარების კვლევების ინსტიტუტის (IDS) მიერ გამოიცა საერთაშორისო ინგლისურენოვანი ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი "Journal of Development Studies" (Vol.2). ჟურნალის სამეცნიერო რედაქტორი: პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი. საერთაშორისო სამეცნიერო კოლეგია დაკომპლექტებულია: აშშ-ს, გერმანიის, ბრიტანეთის, ნორვეგიის, სლოვაკეთის, მოლდოვასა და ბულგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლებით.

გამოიცა სახელმძვანელო ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აფილირებული პროფესორის მიერ „მიდა აუდიტის პოლიტიკა“. წიგნის პრეზენტაცია ჩატარდა უნივერსიტეტში და მას ესწრებოდნენ სხვადასხვა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

გამოიცა ბიზნესისა და ტექნოლოგიების ასოცირებული პროფესორის გიგი ყუფარაძის სახელმძვანელო „კულტურული ტურიზმი“. წიგნის პრეზენტაცია გაიმართა თემატურ სივრცეში, სადაც სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები.

სამართლის ფაკულტეტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი 2022-2023 სასწავლო წლის ფარგლებში აქტიურად მუშაობდა სხვადასხვა მიმართულებით. საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებული იყო შემდეგ მიმართულებებზე:

- სტუდენტებისათვის სხვადასხვა სტუდენტური ღონისძიებების შეთავაზება;
- ფაკულტეტის საგრანტო პროექტებში ჩართვა;
- საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა და მათი ორგანიზება;
- წიგნების, სახელმძღვანელოების, ჟურნალების გამოცემა;

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის ფაკულტეტმა დაგეგმა არაერთი გასვლითი ღონისძიება, მაგალითად, ვიზიტები საქართველოს პარლამენტში, საქართველოს უზენაეს სასამართლოში, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

სამართლის ფაკულტეტის დეკანის, გიორგი გორაძის ორგანიზებით, გაიმართა შემცნებითი ვიზიტი პოლონეთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბაუნის სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტებმა და პრაქტიკოსმა ადვოკატებმა. ვიზიტის ფარგლებში ეწვივნენ პოლონეთის სეიმს, პოლონეთის უმაღლეს სასამართლოსა და საკონსტიტუციო ტრიბუნალს.

2023 წლის აპრილის თვეში ლოზანაში (შვეიცარია) გაიმართა ევროპის სამართლის ფაკულტეტების ასოციაციის (ELFA) მორიგი კონგრესი, სადაც სამართლის ფაკულტეტის დეკანი კვლავ წარმოადგენდა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტს. აღნიშნული ღონისძიება დატვირთული აღმოჩნდა ახალი კავშირებისა და სამომავლო პარტნიორების მოზიდვის კუთხით.

აგრეთვე, აღსანიშნავია რომ სამართლის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ საზაფხულო სკოლებში (მათ შორის ონლაინ), რომლებიც დაორგანიზდა პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მიერ, მათ შორის არიან: პეტერ-ჰაზმანის უნივერსიტეტი, კრაკოვის პონტიფიკური უნივერსიტეტი, FUCE, ხორვატიის კათოლიკური უნივერსიტეტი.

სამართლის ფაკულტეტმა, გარდა ზემოთ ხსენებული ღონისძიებებისა, ჩაატარა არაერთი საჯარო ლექცია, ვებინარი და მრგვალი მაგიდა, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ სამართლის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და მოწვეული დარგის სპეციალისტები.



სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით გამოიცა ახალი წიგნები და სახელმძღვანელოები:

- შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართალში;
- თაღლითობის გავრცელებული ტიპები და პრევენციის გზები;
- კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხები, ტომი I;
- გიორგი კვერენჩილაძე 50;
- შესავალი საერთაშორისო სამართალში, მე-2 გამოცემა;
- ქართული სამართლის აქტუალურ საკითხებში;
- Orbeliani Law Review;
- სტუდენტური ჟურნალი Magister Legum N3;

ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, რომლებიც დაიგეგმა ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორცაა ალანდის ავტომიისა და მშვიდობის კვლევების ინსტიტუტი, ნოტრ-დამის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, ICON-S Georgia, ევროპარლამენტი. გარდა ამისა, ფაკულტეტმა 2022-2023 სასწავლის წლის ფარგლებში ორჯერ უმასპინძლა ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას “Law and Global Security”, სადაც მოხსენებით გამოვიდნენ პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორები და თავად შალვა-საბა ორბელიანის აფილირებული აკადემიური პერსონალი.

რაც შეეხება სტუდენტურ კონფერენციებს, აღნიშნულ პერიოდში, სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები ჩაერთნენ ფაკულტეტისა და თავად უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ შემდეგ კონფერენციებში:

- ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია „ადამიანის ძირითად უფლებები“;
- ყოველწლიური საუნივერსიტეტო კონფერენცია;
- ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პრინციპები“;
- ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია: რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში;

2022-2023 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში სამაგისტრო საფეხურზე პრაქტიკულ კომპონენტებში მოდიფიცირდა იურიდიული კლინიკა, რომლის ფარგლებშიც, გარდა სასამართლო საქმეების მომზადებისა, სტუდენტები ატარებდნენ ტრენინგებს თბილისის საჯარო სკოლებში. ამ ტრენინგების ფარგლებში

სამართლებრივი ცოდნის ამაღლების უდიდესი საჭიროება გამოიკვეთა, როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთათვის, რაც ფაკულტეტისთვის ახალი საგრანტო პროექტის ინსპირაციაც გახდა. 15 ივნისს USAID სასამართლოს უზენაესობის გრანტი მოიპოვა სამართლის ფაკულტეტმა, რომლებშიც ჩართული არიან სტუდენტები და აკადემიური პერსონალი. ამ გრანტის ფარგლებში შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად სტუდენტები ჩაატარებენ თბილისის და ზუგდიდის საჯარო სკოლებში ტრენინგებს, ასევე, საკონსულტაციო შეხვედრებს დევნილებთან. გარდა ამისა, დევნილებისთვის 5 სასამართლო და 10 ადმინისტრაციული დავის სამართლებრივი მხარდაჭერაა გათვალისწინებული გრანტის ფარგლებში, სადაც უშუალოდ იქნებიან ჩართული სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები.

მედიცინის ფაკულტეტი

2022-2023 წელს მედიცინის ფაკულტეტი აქტიურად ახორციელებდა მზადებას მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისათვის. საანგარიშო წელს მოეწყო ლაბორატორიული სივრცეები სწავლებისთვის, რომლებიც აღიჭურვა თანამედროვე აპარატურითა და სიმულატორებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებას სტუდენტებში.

- კლინიკურ სიმულაციური ცენტრი;
- ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიის სამედიცინო სწავლების ლაბორატორია;
- ჰისტოლოგიისა და პათოლოგიის სწავლების ლაბორატორია;
- ანატომიის სამედიცინო სწავლების ლაბორატორია;

გაფორმდა მემორანდუმები პროგრამის განმახორციელებელ კლინიკებთან და ამავდროულად ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას შპს „სლოვ გლობალ სერვის“ შორის, რაც ითვალისწინებს დაწესებულებაში სეპარირებულ და მარკირებულ მდგომარეობაში შეგროვილი სარისკო სამედიცინო ნარჩენების გატანა/ტრანსპორტირებას, შემდგომში მათი გაუვნებლობის მიზნით. აღნიშნული უზრუნველყოფს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ლაბორატორიული (ბიოქიმიური, მიკრობიოლოგიური) და კლინიკური მეცადინებების დროს ნარჩენების უსაფრთხო მართვას.

საანგარიშო წელს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისათვის ჩატარდა შემდეგი გადამზადებები:

- ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური/პრაქტიკული გამოცდის (OSCE), (OSPE), პროცესის ორგანიზება OSCE გამოცდის ჩატარება (პილოტირება);
- Workplace-Based Assessment (WPBA), მინი -კლინიკურ გამოცდას (Mini-Cex), (პილოტირება).

პირდაპირი დაკვირვება (Direct Observation) - (პილოტირება);

გადამზადებები ჩატარდა 7,8-9 ნოემბერს და ტრენინგს უძღვებოდა მედიცინის დოქტორი, არაბეთის გაერთიანებული საამიროების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი აიჰან ს. კალისკან.

- მოგვიანებით 8-9 მაისს ჩატარდა გადამზადება: ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური/პრაქტიკული გამოცდა, ცოდნის შეფასების კომპონენტის შედგენა (MCQ, MCQ,SBA, EMQ), პრობლემაზე/კლინიურ ქეისზე დამყარებული სწავლება.

ტრენინგს უძღვებოდა საერთაშორისო ექსპერტი დანიელ სალსედო, MD, MHPE ქეის ვესტრნ რეზერვ უნივერსიტეტის სიმულაციური და ტექნოლოგიური ცენტრის დირექტორი. აშშ

სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, განხრციელდა სხვადასხვა აქტივობები, კერძოდ 30 მაისს, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტს Lecturio Medical-ის წარმომადგენელი, უთქუ თიმურჩინი ეწვია. Lecturio-ს გუნდი წარმოდგენილია 250 პრაქტიკოსი ექიმით, მსოფლიოს წამყვან სამედიცინო სკოლებიდან, როგორებიცაა: ჰარვარდის უნივერსიტეტი, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი, ლონდონის სამედიცინო კოლეჯი, რაც განაპირობებს კომპონენტის უმაღლესი დიდაქტიკური ხარისხით წარმოდგენას. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში დაიგეგმა სამომავლო ერთობლივი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მედიცინის ფაკულტეტის შემდგომ განვითარებას.

ფაკულტეტზე სამეცნიერო კომპონენტის გაძლიერების მიზნით, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „სამედიცინო განათლების გამოწვევები“ , სადაც მონაწილეობას იღებდა როგორც ადგილობრივი ასევე სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული პრეზენტატორები.

მედიცინის ფაკულტეტი აქტიურად ახორციელებს საერთაშორისო აქტივობებს, კერძოდ, 2022 წლის სექტემბერში მედიცინის ფაკულტეტს კილის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პროფესორი, ჯუნ კილინგი ეწვია. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში დაიგეგმა სამომავლო ერთობლივი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მედიცინის ფაკულტეტის შემდგომ განვითარებას.

2023 წლის 4 ივლისს, მედიცინის ფაკულტეტმა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორს, მარეკ სმულცზიკს უმასპინძლა. შეხვედრაზე, სამომავლო ურთიერთთანამშრომლობა ვარშავის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ კვლევითი პროექტის ფარგლებში "Humanization in Medicine" დაიგეგმა. აღნიშნული მიზნით, პირველი შეხვედრა ოქტომბრის თვეში შედგება.

8 ივნისს, მედიცინის ფაკულტეტმა ხორვატიის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორს, ლუკა სესოს უმასპინძლა. დაიგეგმა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობა Erasmus+ KA171 -ს ფარგლებში და სხვა პროექტები.

7 დეკემბერს, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი შეხვდა Katholische Hochschule Nordrhein-Westfalen Catholic უნივერსიტეტის წარმომადგენლებს პროფ. ტობიას ჰოლტერჰოლფ- განათლების მეცნიერება/ჯანმრთელობის მეცნიერების დეპარტამენტი, პროფ. ჯონეს კრელი-ჯანმრთელობის მეცნიერების დეპარტამენტი. შეხვედრის დროს, ორივე მხარემ განიხილა სამედიცინო განათლების გამოწვევები, CPD (უწყვეტი პროფესიული განათლების) პროგრამები საექთნო განათლებაში და სხვ. შემდგომი პარტნიორობა და თანამშრომლობა Katholische Hochschule Nordrhein-Westfalen Catholic university აძლევს მედიცინის ფაკულტეტს ახალ შესაძლებლობებს.

თეოლოგიის ფაკულტეტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი 2022-2023 წლის პერიოდში ეფექტურად ახორციელებდა 2 საგანმანათლებლო პროგრამას. კერძოდ, თეოლოგიის საბაკალავრო საფეხურის პროგრამა და თეოლოგიის სამაგისტრო საფეხურის პროგრამა. ამასთანავე, თეოლოგიის სადოქტორო პროგრამა აცხადებს კანდიდატების მიღებას.

საანგარიშო პერიოდში, 2022-23 სასწავლო წელი, განხორციელდა როგორც აუდიტორიულ, ისე დისტანციურ ფორმატში, რადგან პედაგოგების გარკვეული ნაწილი იმყოფება საზღვარგარეთ და შესაბამისად, მათი ლექციების წაკითხვა ხდებოდა დისტანციურად. ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით მოახერხა დისტანციურ რეჟიმში განხორციელებულ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ხარვეზებისა და საჭიროებების მაქსიმალურად აღმოიფხვრა. დისტანციური რეჟიმი ხორციელდებოდა მხოლოდ სამაგისტრო პროგრამაზე.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია დეკანის და პროგრამების ხელმძღვანელის მიერ, სისტემატიურად მართავდა სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის კონსულტაციებს, როგორც ადგილზე ისე დისტანციურად სასწავლო პროცესთან, მიმდინარე საკითხებთან და სხვა თემებთან დაკავშირებით.

ტრადიციისამებრ, თეოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომები აქტიურ რეჟიმში იმართებოდა, როგორც აუდიტორიულ ისე დისტანციურ რეჟიმში, პროგრამებში ცვლილებების განხორციელების, სასწავლო პროცესის, ეფექტური იმპლემენტაციის, აგრეთვე ფაკულტეტის საბჭოს სხვა პასუხისმგებლობის ფარგლებში.

თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი და პროგრამების ხელმძღვანელი სემესტრის დასაწყისში, ასევე მთელი სემესტრის განმავლობაში სისტემატიურად ახორციელებდნენ შეხვედრებსა და კონსულტაციებს სტუდენტებთან სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და განხილვისათვის. ეს შეხვედრები მიმდინარეობდა დისკუსიის რეჟიმში. სტუდენტებს

ჰქონდათ თავისუფლება დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები როგორც კურიკულუმის, ისე კურიკულუმსგარე ღონისძიებების მიმართულებით. შეხვედრების დროს დაფიქსირებული მოსაზრებების საფუძველზე იგეგმებოდა სხვადასხვა აქტივობები.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია დეკანისა და პროგრამების ხელმძღვანელის ჩართულობით, სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის მართავდა საინფორმაციო შეხვედრებს სასწავლო პროცესთან, საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსთან და კურიკულუმთან და სხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. სისტემატიურად იმართებოდა შეხვედრები თეოლოგიის ფაკულტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სასწავლო პროცესის განვითარების მიზნით.

თეოლოგიის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით, თვეში ერთხელ (განსაკუთრებულ შემთხვევებში ორჯერ) ტარდებოდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომები. ამ სხდომების დღის წესრიგი განსაზღვრული იყო მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებში გარკვეული ცვლილებების განხორციელების, ამ პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, სტუდენტებისათვის პროგრამის მიზნებისა და შედეგების, კურიკულუმის გაცნობისა და მათგან რეკომენდაციების მიღებისა და მოსაზრებების გაზიარების მიზნით. ცვლილება განპირობებული იყო სამაგისტრო პროგრამაზე იმ მიზნით, რომ სტუდენტებს მეტი საშუალება მისცემოდათ სხვა დისციპლინების შესწავლისთვისაც. ასევე, სტუდენტთა საჭიროებებისა და ინტერესთა დაცვის მიზნით ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ხორციელდებოდა სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში, ფაკულტეტმა Erasmus+ ICM გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, განახორციელა რამდენიმე ვიზიტი. კერძოდ:

- 24-29 აპრილს, ოლომოუცის პალაცის სახელობის უნივერსიტეტში (ჩეხეთი) აკადემიური მიწვევით ლექციების წაიკითხა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის აფილირებულმა ასისტენტმა, ვენის უნივერსიტეტის დოქტორანტმა გურამ ლურსმანაშვილმა „მართლმადიდებელი ეკლესია სტალინის მმართველობის პერიოდის საბჭოთა კავშირში“ და „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ“;
- 25-29 აპრილს, თეოლოგიის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უმასპინძლა რუჟომბეროვის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ რადოსლავ ლოჟანს. ერთკვირიანი მობილობის ფარგლებში რადოსლავ ლოჟანი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და თეოლოგიის ფაკულტეტის წარმომადგენლებს. თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანთან შეხვედრისას საუბარი შეეხო სამომავლო თანამშრომლობის გეგმებს,

საერთო პროექტებს და გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებულ საკითხებს;

- 18-14 ივნისს, თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი გოჩა ბარნოვი და უნივერსიტეტის რექტორი მამა აკაკი ჭელიძე ადმინისტრაციული პროექტით სტუმრობდნენ კრაკოვის იოანე-პავლე II სახელობის პონტიფიკურ უნივერსიტეტსა და იგნატიუმის აკადემიას. ვიზიტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სამომავლო გეგმებსა და თანამშრომლობაზე, ასევე ერთობლივ პროექტებსა და საერთაშორისო გამოცემებზე;
- 18-24 ივლისს, თეოლოგიის ფაკულტეტს აკადემიური ფორმატის ფარგლებში სტუმრობდნენ კრაკოვის პონტიფიკური უნივერსიტეტის პროფესორები ვლადისლავ ზუზიაკი და იოანა მისონა ბირსკა. ვიზიტი მოიცავდა საჯარო ლექციებს სტუდენტებისათვის და თავისუფალი დამსწრეებისათვის.

თეოლოგიის ფაკულტეტმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კვლევითი პროექტში: Threats to Democracy: Nationalism, Populism, Extremism and Christianity's Response to Them, რომელიც მიემდგვნა დემოკრატიის გამოწვევებისა და საფრთხეების კვლევას თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით. კონფერენცია გაიმართა კრაკოვში (პოლონეთი), პარიზსა (საფრანგეთი) და ჰერდორფში (გერმანია). ამ საერთო კვლევით პროექტში მონაწილეობას იღებდა თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი დავით ბარბაქაძე, რომელიც მოხსენებით გამოვიდა კონფერენციაზე, კერძოდ გერმანიის ქალაქ ჰერდორფში. პოლონეთში ვიზიტისთვის განკუთვნილი იყო თარიღები: 29 ნოემბერი-03 დეკემბერი, 2022 წელი. გერმანიაში პროექტი განხორციელდა 01 მაისიდან 05 მაისის ჩათვლით, ხოლო საფრანგეთში - 26-29 ივნისი, 2023 წელი. კრაკოვში გაიმართა სიმპოზიუმი, სადაც მოხსენებით წარსდგნენ საერთაშორისო კვლევითი პროექტის მონაწილე ქვეყნების აკადემიური პერსონალი, ხოლო გერმანიასა და საფრანგეთში მოხსენებები წარადგინეს თითოეული ქვეყნის უნივერსიტეტების სტუდენტებმა. პროფესორებმა მოდერაცია გაუწიეს პანელურ დისკუსიებს. პროექტის მიზანს წარმოადგენდა დემოკრატიის საფრთხეების წარმოჩენა თეოლოგიურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, კულტურულ და ეკონომიკურ ასპექტებში;

საერთაშორისო კვლევითი პროექტის ორგანიზატორები იყვნენ:

- ა) კრაკოვის იოანე პავლე მეორის სახელობის პონტიფიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი), ბ) სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი (საქართველო) და გ) ერფურტის უნივერსიტეტი (გერმანია).

თეოლოგიის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობით, განახორციელა სხვადასხვა სახისა და შინაარსის კურიკულუმსგარე აქტივობა და სამეცნიერო ღონისძიება. აღნიშნულ კატეგორიაში მოიაზრება, როგორც საჯარო ლექციების, ტრენინგ-კურსების, პანელური დისკუსიების, სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციებისა და სხვ. განხორციელება, ასევე ჟურნალების, თარგმანებისა და სხვ. გამოცემა:

სამეცნიერო კონფერენციები:

- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის VII თეოლოგიური კონფერენცია, 20.12.2022. კონფერენცია ეძღვნება სხვადასხვა თეოლოგიურ საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია დღეს. კონფერენციის მომხსენებლები შეეხნენ სხვადასხვა თეოლოგიურ თემებს. ძირითადად ეს იყო საეკლესიო სამართალი, დოგმატური ღვთისმეტყველება, პატერიკული სწავლებები და ტრადიცია, ლიტურგიკული ღვთისმეტყველება, ეკლესიის ისტორია. კონფერენცია იყო კონკრეტული თემატიკის გარეშე, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა თეოლოგიური საკითხებისადმი დიდი ინტერესით, რომლებიც ყოველდღიურად იჩენს თავს მორწმუნეებისა და სხვა ადამიანების ცხოვრებაში. მხოლოდ ერთი კონკრეტული თემა ნაკლებად აკმაყოფილებდა ჩვენს მსმენელს, ამიტომაც კონფერენციის შინაარსი გახდა თემატურად მრავალფეროვანი. შესაბამისად, კონფერენციის მიზანია იყო თავი მოეყარა თეოლოგებისა და თეოლოგიის მონათესავე მეცნიერებების სპეციალისტებისათვის, რომლებმაც იმსჯელეს ზემოხსენებული თემების შესახებ და შეეცადნენ მართებული წარმოდგენა შეექმნათ დამსწრე აუდიტორიისა და ფართო საზოგადოებისათვის ეკლესიის წიაღში არსებულ სხვადასხვა პრობლემებზე, რომლებიც გამოწვეულია სხვადასხვა გარემოებებითა და მიზეზებით.
- თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორებმა თეიმურაზ ბუაძემ და გოჩა ბარნოვმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაში „კონსტიტუციური შეთანხმების 20 წელი“. აღსანიშნავია, რომ ეს კონფერენცია გაიმართა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის თანამონაწილეობით საქართველოს უნივერსიტეტთან და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად;
- თეოლოგიის ფაკულტეტის სამმა პროფესორმა და ლექტორმა 2023 წლის 7-9 ივლისს მონაწილეობა მიიღო საბერძნეთში გამართულ საერთაშორისო თეოლოგიურ კონფერენციაში Christian and Non-Christian Theories of War and Piece; კონკრეტული კონფერენცია იმართება ყოველწლიურად ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. წელს კონფერენცია გაიმართა საბერძნეთის ქალაქ ვერიაში;

სტუდენტების კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით, 2023 წლის 13 ივნისს ჩატარდა V საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც საბაუნის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და წმინდა ანდრეას ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებიც იღებდნენ. თეოლოგიის ფაკულტეტიდან მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა დავით ბარბაქაძემ და ვასილ დოლონაძემ.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში თეოლოგიის ფაკულტეტზე განხორციელდა შემდეგი სადისკუსიო პანელები: 18.10.2022 - ინტერრელიგიური პანელი „მუსლიმური და ქრისტიანული დიალოგის



პერსპექტივები საქართველოში“; 24.11.2022 - ინტერკონფესიური პანელი „კათოლიკური, მართლმადიდებლური და პროტესტანტული გაგება ტრადიციის შესახებ“; 02.12.2022 - ინტერდისციპლინარული პანელი „პიროვნების ცნება თეოლოგიასა და ფსიქოლოგიაში“; 05.12.2022 - პანელური დისკუსია „საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების ურთიერთობა“; 24.03.2023 - სადისკუსიო პანელი „უკრაინის ომის პოლიტიკური და რელიგიური ასპექტები და საქართველო“, მონაწილეები: მამა აკაკი ჭელიძე, თეიმურაზ ბუაძე, ზაზა ბიბილაშვილი, გიორგი გორაძე, მარი ელიაძე, გოჩა ბარნოვი, გურამ ლურსმანაშვილი, შოთა მალაშხია, გიორგი ლაბაძე, ბეჟან ჯავახია, ზურა ბატიაშვილი, თენგიზ თევზაძე, ავთანდილ ჯოხაძე; 28.03.2023 - სადისკუსიო პანელი „ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში“, მონაწილეები: დიმიტრი გეგენავა, ბეჟან ჯავახია, ნუგზარ ბარდაველიძე, გურამ ლურსმანაშვილი, გოჩა ბარნოვი, ბექა მინდიაშვილი, თამარ მესხი, მიხეილ ნებიერიძე, ვლადიმერ ნარსია.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში თეოლოგიის ფაკულტეტზე 2022 წლის 2 სექტემბერს განხორციელდა ათენის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორის ვლასიოს ფიდასის წიგნის „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უტყუარ წყაროებზე დაყრდნობით“. წიგნი ბერძნულიდან თარგმნეს თეოლოგიის ფაკულტეტის თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის წევრებმა დავით ნებიერიძემ, ივანე შოშიაშვილმა და მამა ნიკოლოზ ღონღაძემ.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში თეოლოგიის ფაკულტეტმა განახორციელა შემდეგი გამოცემები:

- ვლასიოს ფიდასი, „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უტყუარ წყაროებზე დაყრდნობით“, დავით ნებიერიძის, ივანე შოშიაშვილისა და მამა ნიკოლოზ ღონღაძის თარგმანი, ISBN 978-9941-8-4705-9;
- ჟურნალი „დიალოგი“ N 5, ISSN 15122069;
- ჟურნალი „დიალოგი“ N6, ISSN 15122069;
- თომა (თორნიკე) ლიპარტიანი, ლეო მალანია, პირველი ქართველი მღვდელი ანგლიკანურ თანაზიარებაში, ISBN 978-9941-8-5321-0;
- ბექა ჭიჭინაძე, საქართველოს ისტორიის უცნობი ქრონიკები, ISBN 978-9941-8-5687-7;
- ხრისტოს იანარასი, ეთოსის თავისუფლება, გურამ ლურსმანაშვილის თარგმანი, ISBN 978-9941-8-2630-6;

აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერი

პერიოდული გამოცემები:

ჟურნალი „ორბელიანი“

2019 წლიდან სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი გამოსცემს აკადემიურ ჟურნალს „ორბელიანი“. ჟურნალი ინტერდისციპლინური ხასიათისაა და მასში ქვეყნდება აკადემიური სტატიები სამართლის, თეოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების, ბიზნესის, ტურიზმისა და ეკონომიკის მიმართულებით. იგი ფარავს უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტსა და აკადემიურ პროგრამას.

2022 წელს გადამუშავდა ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკა; ჟურნალმა შეიძინა საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდული გამოცემის სტატუსი; დღეისათვის ჟურნალს მოპოვებული აქვს ინდექსაციები შემდეგ სამეცნიერო პლატფორმებზე: ErihPlus; Ebsco; Googlescholar; Road; Researchbib; J-gate; Base; crossref; Sherpa Romeo; Dimensions;

2022 წელს გამოიცა ჟურნალის მორიგი ნომერი Vol. 1 No. 5 (2022): ორბელიანი; <https://journals.sabauni.edu.ge/index.php/jo>

ჟურნალი „დიალოგი“

ჟურნალი „დიალოგი“ არის თეოლოგიისა და რელიგიის კვლევების აკადემიური ჟურნალი, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი გამოსცემს 2004 წლიდან. 2022 წელს ასევე გადამუშავდა „დიალოგის“ სარედაქციო პოლიტიკა, ჟურნალმა შეიძინა საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდული გამოცემის სტატუსი, გახდა მულტილინგვური გამოცემა და ინდექსირდა შემდეგ საერთაშორისო ბაზებში: Ebsco-ს ბაზის კოლექციებში -Humanities Source Ultimate; Central & Eastern European Academic Source; EBSCO Discovery Service; Doaj; Googlescholar; Road; Researchbib; J- gate; Base; crossref; Dimensions;

2022-2023 სასწავლო წელს გამოიცა ჟურნალ „დიალოგის“ სამი ნომერი (ჟურნალი „დიალოგი“, N5 (ტომი.14) 2022; N6 (ტომი 15) 2022; <https://journals.sabauni.edu.ge/index.php/jd>

ჟურნალი „სამართლის მეთოდები“

2017 წლიდან, წელიწადში ერთხელ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი და დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს „სამართლის მეთოდები“, ჟურნალი ორიენტირებულია სამართლის თეორიის, ფილოსოფიისა და სამართლებრივი მეთოდების მიმართულებით სამეცნიერო და საგანმანათლებლო სტატიებისა და თარგმანების გამოცემაზე.

2022 წელს განახლდა ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკა, ჟურნალი გახდა საერთაშორისო გამოცემა და მოიპოვა ინდექსაციები შემდეგ სამეცნიერო ბაზებში: Ebsco- Central & Eastern European Academic Source; EBSCO Discovery Service; Heinonline, ErihPLus, Googlescholar; Road; Researchbib; J- gate; Base; crossref; Dimensions.

2022 წელს გამოიცა ჟურნალ „სამართლის მეთოდების“ მორიგი ნომერი (ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N5-2022) <https://journals.sabauni.edu.ge/index.php/lm>

2023 წლის ივლისში გამოიცა ჟურნალ „სამართლის მეთოდების“ მე - 6 ნომერი: <https://journals.sabauni.edu.ge/index.php/lm>

Journal of Development Studies

Journal of Development Studies საბაუნის საერთაშორისო ინგლისურენოვანი გამოცემაა, რომელიც 2021 წლიდან გამოიცემა. იგი ინტერდისციპლინურია და განვითარების კვლევების სხვადასხვა მიმართულებას აერთიანებს.

2022 წელს გამოიცა “Journal of Development Studies” მორიგი ნომერი. დღეისათვის ჟურნალს მოპოვებული აქვს ინდექსაციები შემდეგ სამეცნიერო ბაზებში Ebsco - Central & Eastern European Academic Source, EBSCO Discovery Service, RePEC; Econbiz; ZBW; Googlescholar; Road; Researchbib; J- gate; Base; crossref; Dimensions; <https://journals.sabauni.edu.ge/index.php/jds>

“Orbeliani Law Review”

ჟურნალი “Orbeliani Law Review” 2022 წლიდან გამოიცემა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მიერ; ჟურნალი არის საერთაშორისო, სამეცნიერო, რეცენზირებადი და რეფერირებადი, ღია წვდომის პერიოდული გამოცემა. ჟურნალის მისიაა, ხელი შეუწყოს სამართლებრივი კვლევების განვითარებას;

2022 წელს გამოიცა ჟურნალის პირველი ნომერი და ამჟამად ხელმისაწვდომია შემდეგ სამეცნიერო ბაზებში- Googlescholar; Road; Researchbib; J-gate; Base; crossref; <https://journals.sabauni.edu.ge/index.php/olr>

ფაკულტეტების აფილირებული აკადემიური პერსონალისა და მკვლევართა სამეცნიერო საქმიანობა

პუბლიკაციები SCOPUS-ის ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალებში

- Papachashvili, Nino, Vasja Roblek, Maja Meško & Iztok Podbregar Welfare state on the theoretical crossroads: analysis of the twenty-first-century studies International Review of Sociology, DOI: 10.1080/03906701.2023.2187832 Routledge, Taylor & Francis Group



<https://www.tandfonline.com/journals/cirs20>

- Pliszka, A., Wawrzyniak, A., Walocha, J., Tubbs, R.S., Balawender, K. „Embryological basis of polyorchidism including classification, reproductive potential, and risk of malignancy: A review in Clinical Anatomy, 2023. DOI10.1002/ca.24093
- Khokhashvili, Izolda „Production of Protein-rich, Easily Metabolizable Biomass Based on the Biotransformation of Apple Juice Industry Waste” Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 17(2), pp. 123–128, 2023 In Print, Georgia
- Khokhashvili, Izolda „Optimization of cultivation conditions and nutrient medium composition of *S. pulverulentum* G11 for the conversion of winemaking waste to protein-rich biomass.” Journal of Applied Biology & Biotechnology. In Print, India
- Mkervali, Tsitsia; Khokhashvili, Izolda; Zakariashvili, Nino; Kutateladze, Lali; Tchichinadze, Mariam; Sadunishvili, Tinatin „Bioconversion of Waste Products of French Fries and Chips into Protein-Rich Biomass” Bulletin Of The Georgian National Academy Of Sciences, vol. 16, no. 4, 2022 Georgia
- Gegenava Dimitry. „Insults to Religious Feelings v. Freedom of Expression: Lessons from Aisa’s Case” Studia z Prawa Wyznaniowego, Vol. 25 (SCOPUS) John Paul II Catholic University of Lublin, 2022

სხვა პუბლიკაციები

- Geliashvili Gvantsa, „Business Responses To Covid-19 Through Corporate Social Business Responses To Covid-19 Through Corporate Social Responsibility In Georgia“, Ankara: İksad Global Publishing, September 5-6, 2022
- Geliashvili Gvantsa, „Decent Work And Corporate Social Responsibility In Georgia During Covid Pandemic“. co-author. Ankara: İksad Global Publishing, September 5-6, 2022.
- Geliashvili Gvantsa, „Business Sustainable Development and Government Regulation Policy During Covid Pandemic in Georgia“, Ankara –Turkey: Iksad publishing house, 12-13 NOVEMBER 2022.
- Papachashvili N. , Mikaberidze T., Roblek V. „Public Policy Opportunities For The Transition To A Circular Economy.“ in 7th International Scientific Conference. „ Strengthening Resilience by Sustainable Economy and Business – Towards the SDGs”. ISBN 978-961-286-736-2 (pdf) DOI <https://doi.org/10.18690/um.epf.3.2023>
- Papachashvili N., Mikaberidze T., Tavartkiladze M, „Georgia's Convergence With The European Union:

Export Challenges“: Monetary Research Center, March 2023, Conference Papers ISSN 2534- 9600
<https://mrcenter.info/ResearchMaterials/General/ConferencePapers/8>

- Papachashvili N., Mikaberidze T., Tavartkiladze M. „Non-Tariff Measures, and Sustainable Development (on the Example of Georgia-Eu Trade)“. Journal of Development Studies. Vol. 3-NO.(1) – 2022. ISSN 2667-9922 Institute for Development Studies, Sulkhani-Saba Orbeliani University. Institute for Development Studies
- Papachashvili N., Mikaberidze T., Tavartkiladze M. „Non-tariff Measures in Georgia-EU Trade and Management“. In Management: Challenges in Global World. Министерство Освिति. Kyiv. 2022 (Monograph)
- Gogiashvili, Sh., Doghoandze, N., & Krajka, J. „Stakeholders’ involvement in the design and further development of learning outcomes“. Inted Proceedings, pp. 11696-1705. March 6-8.2023 Valencia, Spain doi: 10.21125/intend.2023.0481
- Gogiashvili, Sh. „The impact of lecturers’ involvement in training on learning outcomes development on their student’s academic achievement“. INTED Proceedings, INTED Proceedings, pp. 1687-1691. March 6-2023. Valencia, Spain. doi: 10.21125/intend.2023.0479
- Meskhi George. „Applying the Principle of Fair Remuneration During the Collective Management of Authors’ Rights: Different Perspectives, Orbeliani Law Review Vol. 1, No. 1, 2022, pp. 18-30
- Tatarashvili Pikria. „The Scope of Discretionary Powers of Tax Authorities 2667-9663 Sulkhani-Saba Orbeliani University Press Vol. 1, No. 1, 2022 23.01.2023
<https://journals.sabauni.edu.ge/index.php/olr/article/view/204/174>
- Goradze Giorgi. „Influence of the European Court of Human Rights on Decisions of the Constitutional Court of Georgia” ჟურნალში “The Journal of Development Studies” 2023 #2,
- Mate Khvedelidze Settlement of Disputes Between Foreign Investors and State by Arbitral Tribunals Established under the 1965 Washington Convention (ICSID)in Alternative Dispute Resolution Yearbook 2022 (bilingual edition)/
- Sharashenidze, Tamar Maia Enukidze, Marine Machavariani, Nino Otarishvili, Tea Gabunia, Tamar Sanikidze.,, β-adrenergic receptor blockers as a regulator of T cell viability (in the model system of the Jurkat cells).“ Scientific-practical journal of Experimental and clinical medicine” №6 2022 წ
<https://doi.org/10.52340/jecm.2022.06.002>



- Sharashenidze T., M. Buleishvili , M. Tsimakuridze , M. Tortladze ,T. Sanikidze „Alteration of immune status during treatment with β -blockers in patients with essential hypertension” Journal Of Biomedical And Medical Sciences, Volume 1, Number 4: 2022 DOI 10.51231/2667-9507-2022- 001-04-52-58
- Lursmanashvili Guram. „Some aspects of Revelation in the writings of Georges Florovsky“ Teologie și viață 2022. ISSN 1221-5988 (რუმინეთი), <https://doi.org/10.47433/tv.xcviii1-4.177>
- Lursmanashvili Guram, „Some aspects of the opposition of monasticism before Reformation according to Fr. Georges Florovsky“ ISBN: 978-9925-7822-4-6. კვიპროსი: Holy Metropolis of Tremythountos, 2022
- შაპაჩაშვილი, ნინო. „არასატარიფო ზომები და მდგრადი განვითარება - კავშირის თეორიული გააზრება ეფექტიანი პოლიტიკისთვის”, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის აბსტრაქტების კრებული - „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება.“ ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022 ISBN–978-9941-488-62-7 https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_16504_1.pdf
- ჭელიძე, ნათია. „დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის სისტემა საქართველოში“ ჟურნალში „მიგრაცია“ #11, ივლისი. თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი. თბილისი: უნივერსალი, 2023.
- დემეტრაშვილი, ავთანდილ. „რეფერენდუმი საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში” თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2022 წლის ოქტომბერი
- გორაძე, გიორგი. „რეფერენდუმის ჩატარების დასაშვებობა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის პირობებში: საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2023,
- კიკნაველიძე, გიორგი. „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის საყრდენი ინსტიტუტების ნაკლოვანებები". ჟურნალი „სამართლის მეთოდები“, N7, 2023
- გეგენავა, დიმიტრი, პაატა ჯავახიშვილი, „საკონსტიტუციო საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა”
- „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2022 წლის დეკემბერი,
- გეგენავა, დიმიტრი. „საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის შეთანხმება: დადების მცდელობა და პერსპექტივა: წიგნში კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023



- გეგენავა დიმიტრი. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ზოგიერთი საკითხი“ წიგნში - გიორგი კვერენჩხილაძე 50. თბილისი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2022 წლის ნოემბერი
- გეგენავა, დიმიტრი. „კონკორდატის სამართლებრივი თავგადასავალი: წმინდა საყდრის ისტორიული შეთანხმებებიდან თანამედროვე ხელშეკრულებებამდე“, სტატია წიგნში საქართველო და წმინდა საყდარი 30 სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2022 წლის ოქტომბერი
- წაქაძე, ლევან. „საზოგადოებაზე ორინეტირების საჭიროება საპოლიციო საქმიანობაში: ინსტიტუციური ანალიზი“ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2022
- წაქაძე, ლევან. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის კომენტარი“ ჟურნალში სამართლის მეთოდები. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022.
- წაქაძე, ლევან. „პოლიციის დისკრეცია და დამოკიდებულება დანაშაულის ეფექტიანი გამომდების კონტექსტში“ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2022
- ხვედელიძე მათე. „უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის განხილვა და გადაწყვეტა ვაშინგტონის 1965 წლის კონვენციის (ICSID) შესაბამისად შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ“/ თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023. ქართული/ ინგლისური ISSN: 1987-9199
- გაგოშიძე მარიამ. „მორალი“ და „ზნეობა“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შინაარსში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთი გადაწყვეტილების ჭრილში)“. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი 2022, 978-9941-8-4937-4
- გუგავა ნატო. „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეფორმა საქართველოში და პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველი ორგანოები შედარებით პერსპექტივაში“ ორბელიანი ტომ. 1 No. 5 (2022)
- მუხადგვერდელი ნინო. „სასამართლოს მიხედულობის ფარგლები სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენისას (სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი)“ თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2022. 978-9941-8-4937-4
- წიკლაური სალომე. „სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული ორგანოს მესამე პირად ჩაბმის მიზანშეწონილობის შეფასება“ ორბელიანი,



- წიკლაური სალომე. „სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები თავშესაფრის მოპოვებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში“ სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები, (VSS), N5 2023, <https://doi.org/10.51895/VSS5/Tsiklauri> .
- ტაკაშვილი სიმონ. „მტკიცების პროცესი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის დროს.“ თბილისი: მერიდიანი 2022,. ISBN 978- 9941-34-104-5
- ყიფშიძე შალვა. „საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის პრინციპი, როგორც კარგი მმართველობის უფლების შემადგენელი ელემენტი“. ჟურნალი ორბელიანი N5, 2022 სულხან-საბა ორბელიანის გამომცემლობა
- ყიფშიძე შალვა. დავა განსჯადობაზე ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით“ . წიგნში რევაზ გოგშელიძე 65, საიბილეო კრებული. თბილისი: მერიდიანი, 2022
- ყიფშიძე შალვა. „უფლების აღიარება, როგორც თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების შეძენის საფუძველი“ „სამართლის ჟურნალი“ N2, 2022 შეყილაძე ხატია. „სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს“. ჟურნალი „სამართლის მეთოდები.“ თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2023
- ბარნოვი გოჩა. „ეკლესიის ინსტიტუციური და ქარიზმატული ასპექტები“ ჟურნალი „დიალოგი“ N6, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2022
- ბარნოვი გოჩა. „კატრიარქი ათენაგორა-დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხვედრა.“ ჟურნალი „მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა,“ N 4, 2022. თბილისი: ადენაურის ფონდი
- ბარნოვი გოჩა. „წმინდა კანონების გამოყენების წესი მართლმადიდებელ ეკლესიაში.“ ჟურნალი „მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა,“ N5, თბილისი: ადენაურის ფონდი, 2022
- ლურსმანაშვილი გურამ. „კრეტის კრება ადამიანის ღირსებისა და უფლებების შესახებ.“ თბილისი: კონრად ადენაურის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა, 2022. ISSN 2720-801X
- ლურსმანაშვილი გურამ. „სტალინი და მართლმადიდებლობა, მითი და რეალობა“ თბილისი: კონრად ადენაურის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა, 2022. ISSN 2720-801X



- ლურსმანაშვილი, გურამ. „სტალინი, წმინდა საყდარი და ურთიერთობა კათოლიკეებთან.“ თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022. ISBN 978- 9941-8-4791-2
- ლურსმანაშვილი, გურამ. „მართლმადიდებლობა თანამედროვე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მისი პოლიტიკური ასპექტები“ თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2022 DOI: 10.52340/jd.2022.15.06.004
- გურამ ლურსმანაშვილი. „ამერიკის შეერთებული შტატები და მართლმადიდებლობა“ თბილისი: კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა, 2022. ISSN 2720-801X
- ვარდიძე, ვაჟა. „პაპის პრიმატი ერთიანობისა და მრავალფეოვნების სამსახურში. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2022. ISBN978-9941-8-4791-2
- ბუაძე, თეიმურაზ. „რამდენად გამართლებულია ქრისტიანული ეკლესიის ანტისემიტიზმში დადანიშნულება ჟურნალი „დიალოგი“ N6. (15), 2022 სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
- ბუაძე თეიმურაზ. „ქრისტიანული მისტიკის არსი მისი გადაგვარების მიზეზები სიმპტომები და შედეგები“ ჟურნალი „მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა“ N 3, 2022, ადენაუერის ფონდი
- ბუაძე, თეიმურაზ. „მართლმადიდებლური და დასავალური მისტიკური ტრადიციები“ ჟურნალი „მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა“ N4, ადენაუერის ფონდი, 2023
- ტალახაძე, ირმა. „ვაჰანის ქვაბთა განგება,, და დიდი ჩარტრეას სამონასტრო ტიპიკონი თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022. ISBN978-9941- 8-4357-0
- ტალახაძე, ირმა. „კარტუხელთა ორდენის ისტორიიდან.“ თბილისი:სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022. ISBN978-9941-8-4791-2
- ჭიჭინაძე ბექა. „საქართველოს და რომის ეკლესიის ურთიერთობები დიდი სქიზმის შემდეგ“. დიალოგი. ტომ. 15 NO. 6 (2022);
- გაბუნია მონიკა. „წმ. ირინეოს ლიონელი და გნოსტიციზმი“. დიალოგი. ტომ. 15 NO. 6 (2022);
- შოშიაშვილი ივანე. „აპოლოგია ორიგენესთვის: ზოგადი ცნობები ორიგენეს შესახებ“ დიალოგი. ტომ. 15 NO. 6 (2022);



- მ. ბრაცანტინი გაბრიელე. „ვადიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებლად ცოდვათა“ და გადანათვლა” ტომ. დიალოგი. 14 No. 5 (2022);
- გოგორელიანი ანა. „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მოქმედების ფარგლები ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის საარბიტრაჟო განხილვისას“. კრებულში ქართული სამართლის აქტუალური საკითხები. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023
- გურული ნატო. „ელექტრონული ფორმით დადებული საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა.“ კრებულში ქართული სამართლის აქტუალური საკითხები. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023
- აბესაძე ანა. „მოთხოვნაზე დამყარებული ეკონომიკის სექტორში მომუშავე პირთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.“ კრებულში ქართული სამართლის აქტუალური საკითხები. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023
- ქურასბედიანი ქეთინო. „სადავო ნორმის განმარტების ფარგლები შერეული ტიპის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავებში.“ კრებულში ქართული სამართლის აქტუალური საკითხები. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023
- ჩუბინიძე ლანა. „დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის ინტერნეტკომუნიკაციაზე მონიტორინგის სამართლებრივი ფარგლები“. კრებულში ქართული სამართლის აქტუალური საკითხები. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023
- ფეიქრიშვილი თინათინ. „სამოქალაქო სამართალწარმოებაში ფარული აუდიო/ვიდეო ჩანაწერის მტკიცებულებად დაშვების სტანდარტი.“ კრებულში ქართული სამართლის აქტუალური საკითხები. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023
- დარცმელიძე რუსუდან. მტკიცებულებათა მოპოვების ფარგლები და შეფასების სტანდარტი კონკურენციის სააგენტოს მიერ შეტანხმების კარტელურად კვალიფიკაციისას“. კრებულში ქართული სამართლის აქტუალური საკითხები. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023
- სარუხანიშვილი სანდრო-გიორგი. „ქონებრივი ღირებულების შემცველი დიდი მონაცემების სამართლებრივი დაცვა საბანკო კონკურენციაში.“ კრებულში ქართული სამართლის აქტუალური საკითხები. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023
- კეკენაძე მარიამ. „დისტანციური სწავლებისას სტუდენტთა პერსონალური მონაცემების

დამუშავების სტანდარტი“. კრებულში ქართული სამართლის აქტუალური საკითხები. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023

- ფარცვანია მაკა, „ენერჯო უსაფრთხოებისა და წყალბადის სექტორის განვითარების პროგრამა თანაავტორი Asian Development Bank 24/02/2023 (115გვ)

თარგმანები

- დაგლას ჰოლანი, „კროსკულტურული განსხვავებები სელფში“, ჟურნალი „ორბელიანი“, Vol. 5, #1 (2022), გვ. 1-22, ISSN 2667- 9124 მთარგმნელი თამარ ნუცუბიძე.
- უილიამ ჰ. რეინჟუსი, „ჯონ მარშალი“ კრებულში გიორგი კვერენჩილაძე 50. მთარგმნელი გიორგი გორაძე. თბილისი, 2022
- ანტონინ სკალია. „განსხვავებული აზრი.“ კრებულში გიორგი კვერენჩილაძე 50 მთარგმნელი პაპაშვილი თამარ. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის გამომცემლობა, 2022
- მარიამ გაგოშიძე. „გამგები გული: რეფლექსია სამართლის საფუძვლებზე“ პაპი ბენედიქტე XVI 2011 წლის 22 სექტემბერს გერმანიის ბუნდესტაგში წარმოთქმული სიტყვა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
- სედრიკ რინგერტი „წმინდა საყდრის სამართლებრივი სტატუსი“ მთარგმნელები მარიამ ნატროშვილი, ნინო მუხადგვერდელი, თბილისი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
- „ადამიანი სამართალში“ გუსტავ რადბრუხის 1926 წლის 13 ნოემბრის საინაუფურაციო ლექცია ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში“. მთარგმნელი ნინო ქათამაძე. სამართლის მეთოდები, N6, 2022

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნები

- ირმა-გელანტია-ახვლედიანი. შიდა აუდიტის პოლიტიკა ეფექტიანი საჯარო მმართველობისთვის საქართველოში. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2022
- გიორგი კვერენჩილაძე 50. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის გამომცემლობა, 2022
- ავთანდილ ჯოხაძე. ლიბერალიზმის წინაპირობები ქართულ ისტორიაში. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2023.
- სიმონ ტაკაშვილი, გიორგი მესხი, ლიკა კობალაძე, თამარ ლაკერბაია, ნინო ქათამაძე, ოლიკო კობახიძე, ნინო ლიპარტია და მათე ხვედელიძე. შესავალი საქართველოს სამოქალაქო



სამართალში, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023, ISBN – 978-9941-8-4718-9

- ვიქტიმოლოგია: მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ თბილისი: სულხან-საბა ორბელიანი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023, 978-9941-8-5238-1
- ქართული სამართლის აქტუალური საკითხები. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023
- ზაქარ ქავთარაძე, შესავალი ნატურალურ თეოლოგიაში, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023
- ალექსანდრე მაკგრეთი. „ღმერთი როგორც გამონაგონი?: სტატიები და ესეები“. მთარგმნელი დ. თინიკაშვილი. თბილისი: სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023
- თომა(თორნიკე) ლიპარტიანი. „ლეო მალანია პირველი ქართველი მღვდელი ანგლიკანურ თანაზიარებაში“. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023
- გაბუნია, მონიკა. „ფინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური და ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები ავტოკეფალიის პერსპექტივაში“. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023
- ჯიქია, მ., კინწურაშვილი, ნ., ნაჭყებია, ლ. [და სხვ.] შესავალი საერთაშორისო სამართალში რედ.: მარიამ ჯიქია, პაატა ჯავახიშვილი/ თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2023
- გივი ყუფარაძე. კულტურული ტურიზმი, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022 კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში . მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმი (7-8 ივნისი, 2022): მასალები./რედ. მ.დაღანიძე/ თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023

მუდმივმოქმედი სამეცნიერო კონფერენციები

- IV საერთაშორისო სიმპოზიუმი Law and Global Security“ (2023 წლის 8-9 ივნისი)
- მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში (2023 წლის 6-7 ივნისი)
- განვითარების კვლევების V საერთაშორისო კონფერენცია- , Sustainable Development: Solution, Actions to increase well-being” (2022 წლის 18 ნოემბერი)



- რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში - VII ეროვნული კონფერენცია 2022 წლის დეკემბერი;
- რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში - VIII ეროვნული კონფერენცია 2023 წლის ივლისი;
- მე-7 საერთაშორისო კონფერენცია თეოლოგიაში (2022 წლის დეკემბერი)

სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრით, საშემოდგომო სემესტრში სწავლა დაიწყო 19 სექტემბერს. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პირველკურსელთა სარეგისტრაციო დოკუმენტები მომზადდა და წარიმართა პირველადი რეგისტრაციის პროცესი. სტუდენტებმა გაიარეს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, რის შემდეგაც, მათი მონაცემები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში აისახა. მათთან დადებული განათლების ხელშეკრულებები კი გატარდა ელექტრონულ ჟურნალში. 2022 წლის საშემოდგომო სემესტრში, ბაკალავრიატის საფეხურზე ჩაირიცხა 169 სტუდენტი: სამართალი 52, ბიზნესის ადმინისტრირება - 12, ტურიზმი - 8, თეოლოგია - 3, საერთაშორისო ურთიერთობები - 11, ფსიქოლოგია - 66, სოციოლოგია - 14, პოლიტიკა - 3 სტუდენტი. მაგისტრატურის საფეხურზე ჩაირიცხა 86 სტუდენტი: სამართალი - 67, საჯარო მმართველობა - 10, ბიზნესის ადმინისტრირება - 8, თეოლოგია - 1 სტუდენტი. დოქტორანტურის საფეხურზე, კერძოდ სამართლის სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხა 12 სტუდენტი.

2022-2023 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში ჩარიცხული მაგისტრანტების შესახებ ინფორმაცია აისახა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ სისტემაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ. ასევე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა განახორციელა 2022-2023 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის მობილობის პროცესის ორგანიზება და მობილობით გადმოსული სტუდენტების მონაცემებისა და მობილობით აღიარებული კრედიტების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ასახვა.

2022-2023 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში შუალედური გამოცდები ჩატარდა 7 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით. საგამოცდო საკითხების ბეჭდვა და გამოცდებზე დაკვირვება უზრუნველყო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა.

მთელი აკადემიური წლის განმავლობაში შემოსული განცხადებების საფუძველზე სასწავლო პროცესის მართვის სამსახური მუდმივად გაცემდა ცნობებს, როგორც სტატუსის შესახებ, ასევე ფორმა 26-ს. სასწავლო სემესტრის ბოლოს დაიბეჭდა 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის უწყისები

და მათზე ხელის მოწერის პროცესი უზრუნველყო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა.

2022-2023 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის ფინალური გამოცდები ჩატარდა 9 იანვრიდან 21 იანვრის ჩათვლით. დამატებითი გამოცდები ჩატარდა 23 იანვრიდან 28 იანვრის ჩათვლით. მას შემდეგ, რაც დამატებითი გამოცდების შეფასებები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სრულად აისახა, დაიხურა და დაარქივდა შემოდგომის სესია და უწყისები. სესიის დახურვის შემდეგ დამუშავდა კურსდამთავრებულთა მონაცემები და გადაეგზავნა ფაკულტეტებს. დამუშავდა დიპლომებისთვის საჭირო ინფორმაცია და გადაეგზავნა შესაბამის ორგანიზაციას დასამზადებლად. გაიცა დამზადებული დიპლომები.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ შედგა 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო ცხრილი. 2022 წლის 8 თებერვალს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტებისთვის აკადემიური რეგისტრაცია გაიხსნა და სასწავლო პროცესი დაიწყო. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა, საგაზაფხულო სემესტრშიც განახორციელა მობილობის პროცესის ორგანიზება და მობილობით გამოსული სტუდენტების მონაცემებისა და მობილობით აღიარებული კრედიტების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ასახვა. 2023 წლის საგაზაფხულო სემესტრის შუალედური გამოცდები ჩატარდა 10 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით. დასკვნითი გამოცდები კი 5 ივნისიდან 17 ივნისის ჩათვლით. 2022-2023 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის დასკვნითი გამოცდების შეფასებების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სრულად ასახვის შემდეგ, დაიხურა და დაარქივდა საგაზაფხულო სესია და უწყისები. დამუშავდა ასევე კურსდამთავრებულთა მონაცემები და გადაეგზავნა ფაკულტეტებს. გარდა ამისა, დამუშავდა დიპლომებისთვის საჭირო ინფორმაცია და გადაეგზავნა შესაბამის ორგანიზაციას დასამზადებლად. გაიცა დამზადებული დიპლომები.

ბიბლიოთეკა

2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აქტიურად იყო ჩართული აკრედიტაციის პროცესში.

- ბიბლიოთეკის მიერ შემოწმებულ იქნა შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები:
- საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;



- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

შემოწმდა სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა, რის შედეგადაც სრულად შეივსო საბიბლიოთეკო ფონდი, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული რესურსებით.

ბიბლიოთეკა საბიბლიოთეკო სტანდარტის 7.2 თანახმად ასრულებს და ჩართულია ავტორიზაციის პროცესში. განახლდა ზოგადი აღწერილობის და შეფასების ძირითადი ტექსტი, ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარების სტრატეგია და განახლების მექანიზმები.

ბიბლიოთეკა ჩართული იყო სტრატეგიული გეგმის სამუშაო შეხვედრებზე, ბიბლიოთეკარებმა გაიარეს ტრენინგი - „Soft skills - კომუნიკაცია, პრეზენტაცია, სამუშაო ეთიკა, გუნდში მუშაობა“.

2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ჩატარდა:

- ონლაინ HeinOnline-ის ვებინარი, შემდეგ თემაზე: იმიგრაცია, იძულებითი მიგრაცია, ვებინარზე გამოყენებულ იქნა HeinOnline - ის სრული მონაცემთა ბაზები. ვებინარი ჩატარდა Zoom პლატფორმის გამოყენებით.
- ონლაინ Elsevier-ის ვებინარი, შემდეგ თემაზე: „ლიტერატურის ძიება და ავტორის პროფილი Scopus-ში“. ვებინარი ჩატარდა ქართულ ენაზე Zoom პლატფორმის გამოყენებით.
- ონლაინ Elsevier-ის ვებინარი, შემდეგ თემაზე: „ლიტერატურის ძიება ScienceDirect-ში + Mendeley – გზამკვლევი დამწყებთათვის“. ვებინარი ჩატარდა ქართულ ენაზე Zoom პლატფორმის გამოყენებით.
- უნივერსიტეტის მედიცინის პერსონალისთვის ჩატარდა ვებინარი, თემაზე - „საბიბლიოთეკო სერვისების და სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენების შესახებ“ .
- 2023 სასწავლო წლის დასაწყისში ბიბლიოთეკამ ჩაატარა საკონსულტაციო - შეხვედრები. დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდა: “Open Biblio” კატალოგის შესახებ, თუ როგორ შეძლებდნენ მათთვის სასურველი ბიბლიოგრაფიული ძიების განხორციელებას და ელექტრონული რესურსებით სარგებლობას. შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს.

საორიენტაციო შეხვედრების გარდა, ბიბლიოთეკამ უზრუნველყო სავალდებულო ლიტერატურის

გაციფრულება. ბიბლიოთეკაში განახლდა საინფორმაციო ბუკლეტები: ბიბლიოთეკაში ქცევის წესის, სამეცნიერო ბაზების და ჯგუფური მუშაობისთვის სამუშაო სივრცის დაჯავშნის ინსტრუქცია.

ბიბლიოთეკის ფონდს დაემატა:

- წიგნი - 1098
- პერიოდიკა - 278
- ელ. ვერსია - 1025

2023 სასწავლო წლის დასაწყისში, ბიბლიოთეკაში განხორციელდა მკითხველთა რეგისტრაცია, გაწევრიანდა 365 სტუდენტი.

სამეცნიერო ბაზებს დაემატა მსოფლიოში აღიარებულ სამედიცინო ბაზა UpToDate.

ბიბლიოთეკამ უზრუნველყო ერთწლიანი გამოწერა შემდეგი ჟურნალების: National Geographic, Entrepreneur, Forbes, არილი, აფრა.

ბიბლიოთეკამ უკვე რამდენიმე წელია უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა მაკულიტერატურის კამპანიას, რის მიხედვითაც ბიბლიოთეკის ფონდს ემატება მხატვრული ლიტერატურა. ამ მიმართულებით 2022-2023 სასწავლო წლებში მხატვრულ ფონდს დაემატა 30-მდე ლიტერატურა.

თბილისის წიგნის 24-ე საერთაშორისო ფესტივალზე, ბიბლიოთეკამ აღწერა ფესტივალზე გასატანი წიგნები და საფესტივალო დღეების განავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

2023 წლის 14 ივლისს ბიბლიოთეკამ მონაწილეობა მიიღო საუნივერსიტეტო წიგნის ფესტივალზე, სადაც წარდგენილ იქნა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამოცემული წიგნები.

უცხო ენების ცენტრი

2022-2023 სასწავლო წლის პროცესის დაწყების წინ უცხო ენების ცენტრის მენეჯერმა ჩაატარა პირველ კურსელი სტუდენტების ტესტირება-გასაუბრება დონის განსაზღვრის მიზნით. ასევე მოხდა სტუდენტების დონეებად დაყოფა და ჯგუფებში გადანაწილება. უცხო ენების ცენტრი აქტიურად იყო ჩართული 2022-2023 გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების ტესტირება შერჩევაში. თვეში ერთხელ ხდებოდა უცხო ენების ლექტორებთან შეხვედრა და მიმდინარე პროცესების განხილვა-ანალიზი. ცენტრი ასევე აქტიურად იყო ჩართული სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე ტესტების შემუშავება-ტესტირების პროცესში.

- აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცესებში ჩართულობა კომპეტენციის ფარგლებში.
- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა აკრედიტაციაზე წარსადგენად.

2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში ასევე ჩატარდა თანამშრომლების ტესტირება დონის განსასაზღვრად მათი თანამდებობრივი ინსტრუქციით გათვალისწინებული დონის მისაღწევი შედეგის განსასაზღვრად.

საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი

სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობა

2022-2023 სასწავლო წლის მანძილზე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ პარტნიორ უნივერსიტეტებში დაგეგმილ სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო ღონისძიებებში როგორცაა: Erasmus+ ICM (საერთაშორისო კრედიტების მობილობა - იტალია, საფრანგეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი), სასწავლო ვიზიტები (საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი), საზაფხულო სკოლები (იტალია, უნგრეთი, ხორვატია), კვლევითი მობილობები (გერმანია, პოლონეთი), საერთაშორისო კონფერენციები.

Erasmus+ საერთაშორისო მობილობებით ისარგებლეს ასევე საბაუნის აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში (იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი). გარდა ერასმუსისა, პერსონალს საშუალება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ნოტრ-დამის უნივერსიტეტის (აშშ) ნანოვიკის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ლიდერობის ერთ კვირიან ტრენინგსა და საქმიან მივლინებებში.

2022-2023 სასწავლო წლის მანძილზე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ვუმასპინძლეთ პარტნიორი უნივერსიტეტების (ესპანეთი, იტალია, ჩეხეთი, გერმანია, სლოვაკეთი, ხორვატია, უნგრეთი, პოლონეთი და სხვ) პროფესორებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას. მიმდინარე სასწავლო წლის ნოემბერში ვუმასპინძლეთ კიოლნის კათოლიკური უნივერსიტეტის დელეგაციას. შეხვედრის ფარგლებში დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა მედიცინის ფაკულტეტთან.


2023 წლის 13 თებერვალს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დელეგაცია (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, ჯამში 85 ადამიანი) პერსონალურ აუდიენციაზე მიიღო რომის პაპმა ფრანცისკემ ვატიკანში.



2022 წლის ოქტომბერში საბაუნის რექტორი და პრორექტორი დაესწრნენ ევროპის კათოლიკური უნივერსიტეტების ფედერაციის გენერალურ ასამბლეას ტირანაში (ალბანეთი) .

2022 წლის აგვისტოში სამედიცინო ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი დაესწრნენ ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის საერთაშორისო კონფერენციას ლიონში (საფრანგეთი).

2022-2023 წლის განმავლობაში, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორებისათვის ჩატარდა ორი ტრენინგი სწავლების მეთოდებზე. ტრენინგები ჩატარეს ამერიკელმა პროფესორმა დენიელ სალსედომ და აიჰან კალისკანმა.



მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორობა გაფრთოვდა, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება 9 უცხოურ უნივერსიტეტთან.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა უმასპინძლა 5 საერთაშორისო კონფერენციას.

მიმდინარე წლის 5-9 ივნისს, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ჩატარდა პირველი საერთაშორისო კვირეული, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტს სტუმრობდა 15 უცხოელი პროფესორი იტალიიდან, ხორვატიიდან, ესპანეთიდან, ლიეტუვიდან, ჩეხეთიდან და პოლონეთიდან. კვირეულის ფარგლებში გაიმართა ორი საერთაშორისო კონფერენცია, საჯარო ლექციები, მრგვალი მაგიდის ტიპის

შეხვედრა და ინდივიდუალური შეხვედრები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი, განვითარების კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი ერთთვიანი კვლევითი გრანტით იმყოფებოდა ამერიკაში, ნოტრ დამის უნივერსიტეტთან არსებულ ნანოვიკის ინსტიტუტში.
- სამართლის ფაკულტეტის პროფესორი, მარიამ ხოფერია ერთთვიანი კვლევითი პროექტით იმყოფებოდა ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტში.
- თეოლოგიის ფაკულტეტის აფილირებული პროფესორი, ვაჟა ვარდიძე KAAD კვლევითი გრანტით (ერთი წელი) იმყოფება გერმანიაში, Ludwig-Maximilians University of Munich
- სამართლის ფაკულტეტის ასისტენტი და სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, თენგიზ თევზაძე KAAD კვლევითი გრანტით იმყოფებოდა ერთი თვე გერმანიაში (რეგენსბურგის უნივერსიტეტი).

საერთაშორისო კონფერენციებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის რაოდენობა: 68

ხარისხის მართვის სამსახური

2022-2023 სასწავლო წლის საანგარიშო პერიოდში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობა მიმართული იყო, როგორც ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესების წარმართვასთან, ამასთან უნივერსიტეტში სწავლა-სწავლების, კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შიდა ხარისხის მექანიზმების შესაბამისად, მუდმივ მონიტორინგის პროცედურების განხორციელებასთან.

ავტორიზაციის პროცესები

2023 წლის აპრილის თვეში ხარისხის მართვის სამსახურის უშუალო ორგანიზებით და ხელმძღვანელობით, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან აქტიური კომუნიკაციით, მომზადდა და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიგზავნა ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების დოკუმენტი. თითოეულ რეკომენდაციას, ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტთან მიმართებით, თან დაერთო განახლებული მტკიცებულებების დანართი, როგორც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, ისე სხვადასხვა ანგარიშების სახით.

აკრედიტაციის პროცესები

საანგარიშო პერიოდში ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით და პროცესებში უშუალო ჩართულობით უნივერსიტეტში რეაკრედიტაცია გაიარა ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ. შეიქმნა და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მოლოდინშია ორი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა:

- მედიცინის ერთსაფეხურიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

2023 წლის ივლისის თვეში მომზადდა, ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე შესაბამისი ანგარიში, რომელიც გაიცა აკრედიტაციის საბჭოს მიერ და ამავე საბჭომ წარდგენილი ანგარიში მიიღო ცნობის სახით.

ამავე პერიოდში ხარისხის სამსახურის აქტიური მონაწილეობით მომზადდა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 3 წელიწადში ერთხელ წარსადგენი შუალედური თვითშეფასების ანგარიშები, შემდეგ ოთხ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სოციალურ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

ხარისხის მართვის სამსახურისა და ფაკულტეტების ერთობლივი ჩართულობით მიმდინარეობს აქტიური პროცესები 3 ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების კუთხით:

- ქართულ ენაში მოზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

უნივერსიტეტის სტრატეგიის დოკუმენტი

2023 წლის სექტემბერში დამტკიცდა განახლებული „2023-2029 წლების სტრატეგიის დოკუმენტი“,

რომელიც შემუშავდა უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით. პროცესებს ორგანიზებას უწევდა ხარისხის მართვის სამსახური, რომელმაც როგორც სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელმა ერთეულმა, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და სტრატეგიული მიზნების დადგენილ ვადებში მიღწევადობის მიზნით, ორჯერ განახორციელა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. ხარისხის სამსახურმა დაამუშავა თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები, შეიმუშავა რეკომენდაციები და წარადგინა აკადემიურ საბჭოზე, შესაბამისი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების მიზნით.

ხარისხის შიდა მექანიზმის შესაბამისი გამოკითხვები

- უნივერსიტეტში მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხმა გამოიწვია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასები შედეგები და მათი გამოყენების“ წესში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად კი პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოკითხვის ფორმებს დაემატა კითხვები;
- 2022-2023 სასწავლო წელს ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარდა სემესტრული გამოკითხვები აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ხარისხის მართვის სამსახურმა მიღებული შედეგების საფუძველზე შეიმუშავა შესაბამისი დასკვნები მოქმედი წესის შესაბამისად და აკადემიურ საბჭოსთან ერთად დაამტკიცა კონკრეტული სამოქმედო გეგმები.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ხარისხის მართვის სამსახურმა 2023 წლის ივლისის თვეში უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისაგან მოითხოვა 2022-2023 სასწავლო წლის კვლევითი საქმიანობის ანგარიში. პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დეტალური დამუშავების შედეგად, სამსახურმა შეიმუშავა დოკუმენტი სახელწოდებით „სულხან-საბა ორბელიანის აფილირებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში (2022-2023 აკადემიური წელი)“, სადაც ფაკულტეტების მიხედვით წარმოდგენილია აფილირებული პერსონალის საქმიანობის ანგარიშის სტატისტიკური ანალიზი, აკადემიური თანამდებობების შესაბამისად მიღებული ქულობრივი მაჩვენებლები და კონკრეტული მონაცემები შედარებულია გასული 2021-2022 წლის ამავე სახის მონაცემებს.

აკადემიური საბჭოს ოქმები



მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის ფარგლებში ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა შვიდი აკადემიური საბჭო. სამსახური ასევე უზრუნველყოფდა საბჭოზე განსახილველი საკითხების წარდგენას, შესაბამისი ოქმების შედგენას, თანდართული დოკუმენტაციების მიხედვით.

ანკეტა-კითხვარები

სამსახურის ინიციატივით და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან აქტიური კომუნიკაციით შემუშავდა 2022-2023 წლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ანკეტა-კითხვარი, განისაზღვრა მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის ადგილების რაოდენობა და საბოლოოდ არსებული მონაცემები აისახა სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში.

სხვა აქტივობები

- მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სემესტრის დაწყებამდე, არაუგვიანეს 1 კვირით ადრე ხარისხს სამსახური ახორციელებდა სილაბუსებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების რევიზიას;
- სხვადასხვა საჭიროებების შესაბამისად, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში ეტაპობრივად ინიშნებოდა სამუშაო და საინფორმაციო ტიპის შეხვედრები უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან;
- ხარისხის მართვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ოფიციალური მიმოწერის წარმოებას, შესაბამისი კორესპონდენციების გაგზავნას და მიღებულ წერილებზე რეაგირების განხორციელებას;
- მონაწილეობას იღებდა ხარისხის განვითარის ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებსა და ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში;
- სტრუქტურული ერთეული მონაწილეობას იღება უნივერსიტეტის მიერ გაცემული დიპლომების მონიტორინგის პროცედურებში, ცალკეული ინფორმაციების შემოწმების და არსებობის შემთხვევაში ხარვეზების გამოვლინების მიზნით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური

2022-2023 სასწავლო წელს, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის საქმიანობა მრავალ მიმართულებას მოიცავდა, მათ შორის, ძირითად და მთავარ მიზანს უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება წარმოადგენდა და აქტივობებიც შესაბამისად, ამ მიზნის ხელშეწყობისკენ იყო მიმართული.

გარდა ცნობადობის ამაღლებისა, ამავე პერიოდში, აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის:

სტუდენტების მხარდაჭერა

სტუდენტების მხარდაჭერა სამსახურისთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს, ამ მიმართულებით მრავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, კერძოდ: ციფრული მედიის საშუალებით, აქტიურად ხორციელდებოდა აკადემიური თუ სხვა მიმართულებით აქტიური სტუდენტების გაცნობა აუდიტორიისთვის და მიღწევების ასახვა, მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების აღბეჭდვა, სხვადასხვა პროექტებისა თუ შეხვედრების ორგანიზება, რაც მათი პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული.

სოციალური მედიის სტრატეგიის შემუშავება და იმპლემენტაცია

სოციალური მედია უნივერსიტეტის სამიზნე აუდიტორიისთან კომუნიკაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არხს წარმოადგენს, შესაბამისად, ამავე წლებში, მიზნად დავისახეთ ისეთი არხების შექმნა, რომელთა ვერბალური და ვიზუალური სტილი ზუსტად უპასუხებდა თანამედროვე მოთხოვნებსა და აუდიტორიის შესაბამისი იქნებოდა. 2022 წელი, ძირითადად, კონტენტის ტესტირგ რეჟიმი იყო, 2023 წლის ივნისიდან, აქტიურად დავიწყეთ შეცვლილი სტრატეგიის მიხედვით კომუნიკაცია.

სოციალური მედიის რეპორტინგი/ანალიზი

მიზნების მიღწევისა და გაუმჯობესებისთვის, ციფრული მედიის რეპორტინგი (სოციალური მედია, web) ამავე წლებში აქტიურად მიმდინარეობდა, აღნიშნული გვეხმარებოდა, უკეთესად გაგვეცნო აუდიტორია და ნაკლები ცდომილებით და მაღალი მიღწევადობით გაგვევრცელებინა გზავნილები.

ღონისძიებების ორგანიზება

სამსახური, პიარისა და მარკეტინგული მიმართულებით, აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა ღონისძიების ორგანიზებაში, კერძოდ: სასაჩუქრე მატერიალების გადაცემა,



შეხვედრის ადგილის ვიზუალური გაფორმება, სარეკლამო მასალების დამზადება, ღონისძიების ასახვა სხვადასხვა მედიაში და ა.შ, რაც საჭიროების მიხედვით განისაზღვრებოდა.

ივენთმენეჯმენტი

სამსახურის ორგანიზებით, 2022-2023 წლებში, სულ 4 ივენთი ჩატარდა: პირველკურსელთა წვეულება, Halloween, წინასახალწლო წვეულება და კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო.

ოთხივე ღონისძიების დაგეგმვასა და აღსრულებაზე სრულად საზოგადოებისთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური იყო პასუხისმგებელი. ძირითადი საქმიანობა აერთიანებდა: სივრცის შერჩევა, მოლაპარაკება, მატერიალების დამზადება/შეკვეთა, გზავნილის გავრცელება და რეგისტრირებულთა რაოდენობის განსაზღვრა, ღონისძიების პროგრამის შექმნა და ა.შ

ვებ-გვერდის ადმინისტრირება

გარდა ყოველდღიური საქმიანობისა, რაც ვებ-გვერდის ინფორმაციულ განახლებას წარმოადგენდა, ამავე პერიოდში, საძიებო სისტემის ოპტიმიზაციის მიზნით (SEO), განხორციელდა ON PAGE SEO გამიზნული და ეფექტური SEO ოპტიმიზაციის სტრატეგია, რომელიც ბრენდის პოპულარობასა და მოსულ სტუმართა რაოდენობას ზრდის.

SEO-განხორციელებისას, მიზნად დავისახეთ, რომ ფაკულტეტების ძიების დროს, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი Google-ის პირველ გვერდზე ყოფილიყო.

მიზნის მისაღწევად გაკეთდა:

- საიტის ტექნიკური აუდიტი და ხარვეზების იდენტიფიკაცია;
- დეველოპერებისთვის მომზადდა სრული ტექნიკური სახელმძღვანელო ყველა ხარვეზის გამოსწორების მიზნით;
- საიტზე გაკეთდა კონტენტისა და ქივორდების ოპტიმიზაცია;
- დაიწყო საიტის დომენის ავტორიტეტის გაზრდა, ონლაინ მედიაში სტატიების გამოქვეყნება და უნივერსიტეტის საიტის გალინკვა. შედეგად, უნივერსიტეტი ყველა ფაკულტეტის ქივორდზე არათუ Google-ის პირველ ფეიჯზე, არამედ ტოპ 5-ეულშიც კი მოხვდა.

| | |
|-------------|-------------------|
| ფაკულტეტები | პოზიცია Google-ში |
|-------------|-------------------|



| | |
|--------------------------------------|---|
| ტურიზმის ფაკულტეტი | 1 |
| ბიზნესის ფაკულტეტი | 4 |
| სოციოლოგიის ფაკულტეტი | 3 |
| სამართლის ფაკულტეტი | 3 |
| სამართალი | 7 |
| საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი | 6 |
| ფსიქოლოგიის ფაკულტეტი | 5 |
| პოლიტიკის მეცნიერება | 5 |

სანამ განხორციელდებოდა SEO, საბაუნის დომენის ავტორიტეტი 100-დან 19 იყო, 2023 წელს კი 32-ს მიაღწია.

ინფლუენს მარკეტინგი

სამსახურმა 2023 წლის მაისი- ივნისის პერიოდში, ინფლუენსერ მარკეტინგის ფარგლებში, ცნობილი ბლოგერების დახმარებით, უნივერსიტეტისა და პროგრამების ცნობადობის ამაღლების კამპანია აწარმოა. შეირჩა ისეთი ბლოგერები, რომლებსაც, პროგრამის შესაბამისი სამიზნე აუდიტორია ჰყავდა და გზავნილების გავრცელებაც ამ სამიზნე სეგმენტზე განხორციელდა.

მედიასთან ურთიერთობა

სხვადასხვა ონლაინ და ტრადიციულ მედიაში მიმდინარეობდა უნივერსიტეტის ცნობადობის ასამაღლებელი გზავნილების გავრცელება. ძირითადი მიზანი იყო: აბიტურიენტებისთვის განსაზღვრული შეთავაზებების გავრცელება, მნიშვნელოვანი ვიზიტების გაშუქება, კვალიფიციური ლექტორებისა და სტუდენტების გაცნობა.

| აქტივობები | თარიღი (2023) |
|---|------------------|
| FUCE-ის საინფორმაციო შეხვედრა | 3.02 |
| სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტსა და კამილიელთა სამედიცინო ცენტრს შორის მემორანდუმის გაფორმება | 6.02 |



| | |
|---|-------|
| სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დელეგაციის აუდიენცია რომის პაპთან | 13.02 |
| წიგნის პრეზენტაცია: „შიდა აუდიტის პოლიტიკა. ეფექტიანი საჯარო მმართველობისთვის საქართველოში“ | 22.03 |
| ინგლისურენოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი Orbeliani Law Review-ს პირველი ნომრის გამოცემა | 27.03 |
| ღია კარის დღე (ახალციხე) | 14.03 |
| შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართალში - წიგნის გამოცემა | 17.03 |
| სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტიპენდიანტების გაცნობა აუდიტორიისთვის | 17.04 |
| პირველადი გადაუდებელი დახმარების (Basic Life Support) ტრენინგი | 18.04 |
| ესეების კონკურსი თემაზე - თავისუფლება ისე არ მოდის... | 21.04 |
| რეჟიმბეროკის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ რადოსლავ ლოიანის ვიზიტი საბაუნში | 3.05 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: Threats to Democracy: Nationalism, Populism, Extremism and Christianity's Response to Them. | 5.05 |
| გადამზადება სამედიცინო განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში | 8.05 |
| სტუდენტური კონფერენცია თემაზე „დიპლომატები“. | 11.05 |
| დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის ახალი გამოცემის წარდგენა | 12.05 |
| Gen Z აკადემია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში | 13.05 |
| სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარი თემებზე: European Green Deal (EGD) and Next Generation EU (NGEU) programs for the sustainable future; Green Transition: Opportunities and Challenges for the Firms in the Case of Italy. | 23.05 |
| კონფერენცია თემაზე: "ანგლიკანური/ეპისკოპალური ეკლესია საქართველოს კონტექსტში - წარსულსა და აწმყოში" | 23.05 |



| | |
|--|----------|
| სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე | 25-28.05 |
| Lecturio Medical-ის წარმომადგენელი, უთქუ თიმურჩინის ვიზიტი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში | 31.05 |
| ტრენინგი თემაზე: „კონფლიქტი და მოლაპარაკება“. | 31.05 |
| საჯარო ლექცია თემაზე: "თანაცხოვრების კულტურა ისლამში". | 31.05 |
| ლუბლინის მეწარმეობის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი საბაუნში | 5-9.06 |
| მრგვალი მაგიდა „ევროკავშირის იმიგრაციის ჩარჩო: მესამე ქვეყნების მოქალაქეების პოზიცია“ | 5-9.06 |
| პალაცის უნივერსიტეტის პროფესორის ვიზიტი საბაუნში | 5-9.06 |
| კადისის უნივერსიტეტის პროფესორის ვიზიტი საბაუნში | 5-9.06 |
| ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი საბაუნში | 5-9.06 |
| ხორვატიის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორის ვიზიტი საბაუნში | 5-9.06 |
| სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: "სიმულვილით მოტივირებული დანაშაულები" | 6.06 |
| კონფერენცია: კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში | 6.06 |
| საბაუნის მუსიკალური ბენდის შექმნილი ჯადოსნური სადამო | 7.06 |
| სასკოლო და სტუდენტური სამეწარმეო იდეების კონკურსი | 7.06 |
| ახალ ეკონომიკურ სკოლასთან თანამშრომლობით, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა საჯარო ლექცია. | 8.06 |
| ხორვატიის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ლუკა სესო ვიზიტი საბაუნში | 8.06 |
| მე-6 საერთაშორისო კონფერენცია „სამართალი და გლობალური უსაფრთხოება“ საბაუნში | 8-9.06 |



| | |
|---|----------|
| მენტალური ჯანმრთელობისა და ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის საერთაშორისო აკადემიის წარმომადგენლების ვიზიტი საბაუნში | 15.06 |
| V საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში | 15.06 |
| Soso Around The World საბაუნის ტურიზმის პროგრამის შესახებ | 16.06 |
| Erasmus+ პერსონალის მობილობა კრაკოვის პონტიფიკურ უნივერსიტეტში | 19-23.06 |
| ფსიქოლოგიის ლექტორის ERASMUS+ პერსონალის მობილობა სლოვაკეთში | 19-23.06 |
| ტორუნის უნივერსიტეტის პროფესორის ვიზიტი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში | 26-30.06 |
| სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტსა და შპს „სლოვ გლობალ სერვის“ შორის მემორანდუმი გაფორმდა | 28.06 |
| მედიცინის ფაკულტეტმა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორს უმასპინძლა | 4.07 |
| ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ გამართულ „საუნივერსიტეტო წიგნის ფესტივალს“ დაესწრო. | 14.07 |
| Graduation Party | 19.07 |
| კრაკოვის პონტიფიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორები სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში | 24-25.07 |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება მენტალური ჯანმრთელობის ცენტრთან „გამმა“ | 11.08 |
| სულხან-საბა ორბელიანის წარმომადგენლების ოფიციალური აუდიენცია მსოფლიო პატრიარქთან | 1.08 |

ორბელიანის აკადემია

2023 წლის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილ აქტივობებში ფოკუს ჯგუფს შეადგენდა 9-12 კლასის მოსწავლეები საქართველოს მასშტაბით. აქტივობები ძირითადად განხორციელდა: პროექტების, კონკურსების, საზაფხულო ბანაკის, ტრენინგებისა და მასტერკლასების სახით.

ჩატარებული აქტივობების ძირითად მიზანს წარმოადგენდა:

- უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება
- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ლექტორებისა და წარჩინებული სტუდენტების საზოგადოებისთვის გაცნობა
- „ორბელიანის აკადემიის“ ბრენდის იდენტობის გამოკვეთა და გაძლიერება.
- მოსწავლეების ჩართულობის განვითარება „ორბელიანის აკადემიაში“

| დასახელება | რაოდენობა | თარიღი |
|--|--|------------------------|
| ტრენინგი თემაზე: „საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობები“ და „პროფესიული ორიენტაციის ტრენინგები“ მიმდინარეობდა სკოლებში, თბილისის მასშტაბით | ტრენინგების ციკლში, ჯამში მონაწილეობა მიიღო 500 - მდე მოსწავლემ. | 16.01.2023- 30.05.2023 |
| ვიზიტი ძეგვის საჯარო სკოლაში ჩატარდა ტრენინგი „საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობებზე“, | მოსწავლეების რაოდენობა შეადგენდა 30-ს | 24-01-2023 |
| ვიზიტი მცხეთის 2 საჯარო სკოლაში „პროფესიული ორიენტაციის ტრენინგები“ | მოსწავლეების რაოდენობა შეადგენდა 25-ს | 30-01-2023 |
| „კარლ პოპერის“ ღირებულებითი ფორმატის დებატების ტრენინგი | მონაწილეობას იღებდა 32 მოსწავლე, ყველას გადაეცა სერტიფიკატი. | 09-02-2023 |



| | | |
|---|---|------------|
| „კარლ პოპერის“ ღირებულებითი ფორმატის დებატების თამაში | 18 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას, გამოვლინდა გამარჯვებულები და გადაეცათ შესაბამისი პრიზები. | 16-02-2023 |
| ვიზიტი წეროვანის 1 საჯარო სკოლაში, ტრენინგის თემა „გაცვლითი პროგრამები“ | ესწრებოდა 18 მოსწავლე | 20-02-2023 |
| ვიზიტი გორში, სკოლის მოსწავლეებთან. ტრენინგის თემა „გაცვლითი პროგრამები“ | ესწრებოდა 40 მოსწავლე | 22-02-2023 |
| ვიზიტი ბოლნისში, ტრენინგის თემა „საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობები“ | 33 სკოლის მოსწავლე იღებდა მონაწილეობას | 21-03-2023 |
| აკადემიური წერის ტრენინგი | 37 სკოლის მოსწავლე იღებდა მონაწილეობას, ყველას გადაეცა სერთიფიკატი. | 10-04-2023 |
| ვიზიტი ახალციხეში, ჩატარდა ტრენინგი „საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობებზე“. | ტრენინგს დაესწრო 50 მოსწავლე. | 19-04-2023 |
| ესეების კონკურსი „ჩემი ევროპული მომავალი“ | 37 სკოლის მოსწავლე იღებდა მონაწილეობას, გამოვლინდა 3 გამარჯვებული, რომელთაც გადაეცა შესაბამისი პრიზები. | 20-04-2023 |
| იმიტირებული საგამომიებო | დაესწრო 19 მოსწავლე | 01-05-2023 |



| | | |
|--|--|-----------------------|
| პროცესის ტრენინგი დაესწრო 19 მოსწავლე | | |
| იმიტირებული საგამოძიებო პროცესის თამაში დაესწრო 19 მოსწავლე | თამაშს დაესწრო 19 მოსწავლე, ყველას გადაეცა სერტიფიკატი | 09-05-2023 |
| ვიზიტი კასპში, ჩატარდა ტრენინგი „საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობებზე“. | ესწრებოდა 20 მოსწავლე | 16-05-2023 |
| ვიზიტი ზუგდიდში - მონაწილეობის მიღება საუნივერსიტეტო ხეივანში | საბაუნის შესახებ ინფორმაცია გავუზიარეთ 200- მდე აბიტურიენტს, დავარიგეთ საპრომოციო მასალები | 22-05-2023 |
| საგამოცდო სტრესის მართვის სტრატეგიები | ესწრებოდა 5 მოსწავლე | 22-06-2023 |
| ესეების კონკურსი „თავისუფლება ისე არ მოდის“ | ესწრებოდა 10 მოსწავლე აქედან 3 გამარჯვებულთა, გადაეცათ სერტიფიკატები და შესაბამისი პრიზები. | 22-07-2023 |
| მემორანდუმის გაფორმება „საქართველოს არაფორმალური განათლების ინსტიტუტთან“ | შეხვედრები ტარდებოდა საბაუნში, 100-მდე სკოლის მოსწავლეს შეხვდნენ ფაკულტეტის დეკანები, რომლებმაც გაუზიარეს ინფორმაცია ფაკულტეტების შესახებ. | 13.05.2023-21.06.2023 |

| | | |
|-------------------------|--|------------------------------|
| <p>საზაფხულო ბანაკი</p> | <p>მონაწილეობას იღებდა 12 მოსწავლე, ბანაკში ტარდებოდა პროფესიული ორიენტაციისა და ზოგად საგანმანათლებლო სახის ტრენინგები.</p> | <p>02.08.2023-04.08.2023</p> |
|-------------------------|--|------------------------------|

სტუდენტურ საქმეთა მენეჯერი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა მენეჯერი ორიენტირებულია სტუდენტების კურუკულუმს გარე აქტივობებში ჩართვაზე, რაც გულისხმობს სტუდენტების კარიერულ ზრდასა და განვითარებას, ასევე დასაქმების ხელშეწყობა, მათი მოთხოვნების განსაზღვრა და კმაყოფილების კვლევა. სწორედ ამიტომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა მენეჯერი ახორციელებს სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ ღონისძიებას. შესაბამისად, სტუდენტურ საქმეთა მენეჯერმა მოიპოვა და სტუდენტები ჩართო სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, როგორც საკუთარი ორგანიზებით, ასევე პარტნიორი და არაპარტნიორი ორგანიზაციების ორგანიზებულ აქტივობებში, როგორც არის ტრენინგი, კონფერენცია, კონკურსი. ასევე ინტენსიურად აწვდიდა სხვადასხვა ვაკანსიებსა თუ სტაჟირებებს.

- პირველკურსელთა წვეულება, რომლის მიზანი იყო სასწავლო წლის დაწყების მილოცვა და ერთმანეთთან დაახლოვება. 29 სექტემბერი, 2022;
- დასაქმების ფესტივალი - სტუდენტებს მიეცათ საშუალება მიეღოთ მონაწილეობა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ ორგანიზებითა და რესტორატორთა ასოციაციის მხარდაჭერილ დასაქმების ფესტივალზე. 5 ოქტომბერი, 2022;
- ტრენინგი საოფისე პროგრამებში - ტრენინგის ფარგლებში სტუდენტებს მიეცათ საშუალება გაეხსენებინათ და გაედრმავებინათ ცოდნა საოფისე პროგრამებში. 13 ოქტომბერი, 2022;
- მედიაწიგნიერების კონკურსი - „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ - კონკურსის ფარგლებში ბაკალავრიატის საფეხურზე მყოფ სტუდენტებს მიეცათ საშუალება მიეღოთ მონაწილეობა კომუნიკაციების კომისია და „მედიაკადემია“, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და



სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით ჩატარებულ კონკურსში. 31 ოქტომბერი, 2022;

- ორდღიანი ონლაინ სასწავლო კურსი საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება გასცნობოდნენ მდგრადი საჯარო შესყიდვების არსისა და მისი სარგებლის, მის დასანერგად გადადგმული ნაბიჯებისა და ამ მიმართულებით მომზადებული სამართლებრივი დებულებების პროექტებს. 7-8 ნოემბერი, 2022;
- შეხვედრა შიდსის ჯანდაცვის ფონდთან (AHF) - შეხვედრის ფარგლებში გაიმართა საგანმანათლებლო და პრევენციული ღონისძიებები. 7 ნოემბერი, 2022;
- სამოტივაციო წერილისა და ეფექტური CV-ის შედგენა - აქტივობის ფარგლებში სტუდენტებს მიეცათ საშუალება შეესწავლათ ეფექტური სამოტივაციო წერილისა და CV-ს შედგენა და მიეღოთ პრაქტიკული რჩევები. 21 ნოემბერი, 2022;
- წიგნის ფესტივალი - ექსპო ჯორჯიამ უმასპინძლა წიგნის დღეებს, სადაც წარმოდგენილი იყო საბაუნის სტენდი. ფესტივალის ფარგლებში სტუდენტებმა გააცნეს საბაუნის წიგნები სხვადასხვა აუდიტორიას. 16-18 დეკემბერი, 2022;
- საჯარო გამოსვლის ხელოვნება და პრეზენტაციის ტექნიკა - სესიის ფარგლებში სტუდენტებს მიეცათ საშუალება გაეღრმავებინათ ცოდნა საჯარო გამოსვლის ხელოვნებასა და პრეზენტაციის ტექნიკის ფარგლებში. 21 დეკემბერი, 2022;
- საახალწლო წვეულება - წვეულების ფარგლებში სტუდენტებს მივულოცეთ დამდეგი ახალი წელი, რომელიც ორგანიზებული იყო საბაუნის სტუდენტურ სივრცეში. სტუდენტებს შევეუქმენით საახალწლო განწყობა და ერთად გავატარეთ სასიამოვნო დრო. 26 დეკემბერი, 2022;
- ვორქშოპი "როგორ დავგეგმოთ ჩვენი HR კარიერა?!" - სტუდენტებს მიეცათ საშუალება დასწრებოდნენ "ჯი ემ თი" გასტრონომიას ადამიანური კაპიტალის მართვისა და ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და HR hub Next-ის მენტორი სალომე ფანცალაშვილის ვორქშოპს. 1 თებერვალი, 2023;
- ტრენინგების სერია - საგრანტო კონკურსი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში - უნივერსიტეტში დაიგეგმა ტრენინგების სერია, რომელიც ითვალისწინებს საოფისე პროგრამებს, სტუდენტური აქტივობას, კრეატივსა და სტუდენტურ კლუბებსა და სტუდენტურ პროექტის წერას. კონკურსის ფარგლებში სტუდენტებს მიეცათ საშუალება მათი იდეა ექციათ რეალობად. 7-13 მარტი, 2023;



- ფეინთბოლის ტურნირი - სტუდენტებს მიეცათ საშუალება მიეღოთ მონაწილეობა თავდაცვის ძალების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. 27 აპრილი, 2023;
- განათლების საერთაშორისო ონლაინ გამოფენა - სტუდენტებს მიეცათ საშუალება გასცნობოდნენ საზღვარგარეთ სწავლისა და გრანტების შესაძლებლობებს. 22 აპრილი, 2023;
- სამეწარმეო იდეების კონკურსი - სტუდენტებს მიეცათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ საბაუნის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ ინიცირებულ კონკურსში. 10 მაისი, 2023;
- კომპანია Optimo-ს ვიზიტი საბაუნში - ვიზიტის ფარგლებში სტუდენტები გაეცნენ კომპანიის ვაკანსიებს და მიეცათ დასაქმების შესაძლებლობა ადგილზე გამართულ გასაუბრებაზე. 28 მარტი, 2023;
- ინფო-სესიაზე თემაზე: CV-სამოტივაციო წერილის წერა და გასაუბრების ტექნიკები - სტუდენტებს მიეცათ საშუალება გაეღმავებინათ ცოდნა CV-ს შედგენის, სამოტივაციო წერილის წერასა და გასაუბრების ტექნიკების მიმართულებით. 18 მაისი, 2023;
- წიგნის პრეზენტაცია - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში გაიმართა კურსდამთავრებულის წიგნის პრეზენტაცია. პრეზენტაციის ფარგლებში განიხილეს წიგნის შინაარსი და წიგნის შინაარსის ფარგლებში მიიღეს პირდაპირი პასუხები წიგნის ავტორისგან. 22 მაისი, 2023;
- საბაუნის ბენდის საღამო - უნივერსიტეტში გაიმართა გასართობი საღამო საბაუნის ბენდის მუსიკალური გაფორმებით. 3 ივნისი, 2023;
- სტუდენტური ფესტივალის დახურვა - ფესტივალის დახურვის ცერემონიაზე სტუდენტებს მიეცათ საშუალება განტვირთვისა და დასვენებისთვის. 23 ივნისი, 2023;
- სტუდენტთა გამოსაშვები საღამო - უნივერსიტეტმა უმასპინძლა კურსდამთავრებულების გამოსაშვებ საღამოზე. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სერტიფიკატების გადაცემა და მუსიკალური საღამო. 18 ივლისი 2023.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის

სამსახურის საქმიანობა მოიცავდა, ერთის მხრივ - პერსონალის განვითარებაზე და კმაყოფილებაზე ზრუნვას, მეორეს მხრივ უნივერსიტეტის ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესებში ჩართულობას და მესამე ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნასა და განახლებას.

საანგარიშო წლის პერიოდში განხორციელდა ორგანიზაციული სახელმძღვანელოს განახლება, შეიცვალა უნივერსიტეტის სტრუქტურა, განახლდა თითოეული პოზიციის სამუშაო აღწერილობა და სამსახურის დებულება. აღნიშნულმა პროცესმა კიდევ უფრო გამოკვეთა თითოეული თანამშრომლის როლი ორგანიზაციაში, მკაფიოდ და სწორად სტრუქტურირებული ორგანიზაციული სახელმძღვანელო ეხმარება კომპანიის მენეჯმენტს, ორგანიზაციულ ერთეულებსა და თითოეულ თანამშრომელს საკუთარი უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობების სწორად აღქმასა და განხორციელებაში. საბოლოო ჯამში კი ორიენტირებულია ორგანიზაციული მიზნების მიღწევასა და თითოეული თანამშრომლის კმაყოფილების გაუმჯობესებაზე.

აღნიშნულ პერიოდში გადაიხედა ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები, რათა ერთი მხრივ გამოკვეთილიყო ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტებთან მათი სრული შესაბამისობა, ხოლო მეორეს მხრივ წესები და სტანდარტები გამხდარიყო მეტად მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული.

აღნიშნული პროცესების პარალელურად, ადამიანური რესურსების სამსახური აქტიურად მუშაობდა აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეების გადახედვასა და განახლებაზე. სამსახური ყოველწლიურად უზრუნველყოფს, პერსონალის CV-ის განახლების პროცესს. აღსანიშნავია, რომ სამსახური წლის განმავლობაში მუშაობდა პერსონალის მართვის გაციფრულებასა და ინპლემენტაციაზე. მიმდინარე წელს გაციფრულების პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა პერსონალის CV-ს შიდა საუნივერსიტეტო ბაზაში გენერირების საკითხი, შემუშავდა ტექნიკური დავალება და განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები, რომელიც შემდეგი სასწავლო წლისთვის საშუალებას მისცემს პერსონალს, შიდა საუნივერსიტეტო ბაზაში შექმნან და მომენტალურად განაახლონ საკუთარი CV.

ამავე წელს შესრულდა პროფესიული განვითარების ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება. უნივერსიტეტის პერსონალს 2022-2023 წლის განმავლობაში ჩაუტარდა მნიშვნელოვანი ტრენინგები, რომლებიც მიმართული იყო მათი ცოდნისა და უნარების განვითარებაზე. აღსანიშნავია, უცხოელი მოწვეული ტრენერების ჩართულობა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში, რამაც საშუალება მისცა უნივერსიტეტის პერსონალს მიეღოთ ინფორმაცია საერთაშორისოდ აღიარებული წარმატებული პრაქტიკების შესახებ. ყოველივე ზემოთ ხსენებულის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტს ჰყავდეს

შესაბამისი კვალიფიციური, მოტივირებული პერსონალი, რომელთა პოტენციალის გამოყენება აუცილებელი და საჭიროა უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისთვის.

აღნიშნულ ტრენინგებში ჩართული იყო 150 ზე მეტი თანამშრომელი.



ტრენინგები ძირითადად მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგია;
- საგრანტო კვლევითი პროექტების მომზადება;
- პირველადი სამედიცინო დახმარება;
- აკადემიური წყაროების მოძიება და სამეცნიერო ბაზების გამოყენება;

ადამიანური რესურსების სამსახური მუდმივ რეჟიმში ცდილობს ახალი კვალიფიციური პერსონალის მოძიებას და პარალელურ რეჟიმში ორიენტირებულია არსებული პერსონალის შენარჩუნებისა და კმაყოფილების ხარისხის უზრუნველყოფაზე. მიმდინარე წელს აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა რიგი ცვლილებები :

- შევიდა ცვლილებები “აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულებაში”, რაც მოიცავდა დოკუმენტის მედიცინის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოყვანას. კერძოდ, წესს დაემატა მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის კრიტერიუმები. ასევე მანამდე წესი მოიცავდა აკადემიურ თანამდებობაზე მხოლოდ აკადემიური ნიშნით შერჩევის კრიტერიუმებს, რომლებსაც დაემატა პერსონალის პროფესიული ნიშნით შერჩევის კრიტერიუმები.
- მედიცინის პროგრამის შემუშავების ფარგლებში განხორციელდა “მედიცინის პროგრამის პერსონალის სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში გადამზადებისა და ტრენინგების ტრენინგის ჩატარების წესის” დამტკიცება.
- ცვლილებები შევიდა “ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში”.
- განხორციელდა ჯგუფის შეკვრის სხვადასხვა აქტივობები.
- შემუშავდა სამსახურიდან წასვლის წინა ინტერვიუს კითხვარი, რაც ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს აძლევს შესაძლებლობას ჰქონდეს კიდევ უფრო კონკრეტული პასუხები, რაც ზეგავლენას ახდენს თანამშრომელთა გადინების შედეგებზე. აღნიშნული ცვლილებების ეფექტურობაზე მეტყველებს 2022 წლის პერსონალის სტატისტიკური მაჩვენებლები:

2022-2023 წლის პერსონალის სტატისტიკური მონაცემები:



ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა მიმდინარე წელსაც ჩაატარა კმაყოფილების კვლევა, რომლის მიზანი იყო როგორც აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალის კმაყოფილების დონის შეფასება და ცალკეულ ასპექტებთან დაკავშირებით მათი დამოკიდებულებების დადგენა. კვლევაში გაიზომა ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტებით კმაყოფილება, როგორცაა:

- სტრატეგია, მისია, ღირებულებები;
- ჩართულობა;
- საქმისადმი ინტერესი;
- აკადემიური თავისუფლება;
- უკუკავშირი;
- ხელმძღვანელთან თანამშრომლობა;
- გუნდურობა;
- კორპორატიული კულტურა;
- პროფესიული განვითარება;
- საბაუნის როგორც ბრენდით კმაყოფილება;
- ადაპტაცია;
- რესურსები და სხვა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელია 77%, რაც კარგი შედეგია თუმცა საჭიროებს გამოკვეთილი საკითხების გაუმჯობესებას შესაბამისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

2022-2023 წლის ბოლოს განხორციელდა თანამშრომელთა შესრულებული საქმიანობის შეფასება. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით კი გაიწერა ინდივიდუალური განვითარების გეგმები. შეფასების სისტემა და მიღებული შედეგები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია პერსონალის განვითარებისათვის, პროფესიული ღონისძიებებისა და საჭირო ტრენინგების იდენტიფიცირებისათვის.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური აქტიურად იყო ჩართული პროგრამების აკრედიტაციის და რეაკრედიტაციის პროცესში, ასევე ავტორიზაციის მონიტორინგისათვის მოსამზადებელ პროცესში.

იურისტი

იურისტის მიერ საანგარიშო წლის პერიოდში მომზადდა 300-მდე ბრძანება, 250-მდე ხელშერულება (მათ შორის, ასამდე მემორანდუმი), არაერთი საქმიანი წერილი, რწმუნებულება და სხვა.

იურისტი უზრუნველყოფდა განათლებისა და უნივერსიტეტთან დაკავშირებულ სხვა სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის, აღნიშნულის შესაბამისად მოქმედებას, ასევე, შიდამარეგულირებელი აქტების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში შიდა აქტებში ცვლილებების ასახვასა და დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას.

საანგარიშო წლის განმავლობაში შეიცვალა ხელშეკრულებების შაბლონები და სხვადასხვა მარეგულირებელი წესი, მაგალითად საბაუნის ბაზაზე მოქმედი ცენტრების დებულებები, სტიპენდიების გაცემის წესი, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების წესი და სხვა. მათ შორის მედიცინის აკრედიტაციის ფარგლებში განხორციელდა ცვლილება ათეულობით მარეგულირებელ წესში.

აღსანიშნავია, რომ შემუშავებულ იქნა სრულიად ახალი სტუდენტთა ქცევის კოდექსის პროექტი საბაუნის დაინტერესებული სტუდენტების აქტიური ჩართულობით.

კომპეტენციის ფარგლებში იურისტის მიერ განხორციელდა მონიტორინგი სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციასა და საქმისწარმოებაზე (მაგალითად, ფაკულტეტის ოქმებზე). ის ჩართული იყო აკრედიტაციის პროცესებში, რაც გულისხმობდა დოკუმენტების მომზადებას, თვითშეფასების პროცესსა და სააკრედიტაციო ვიზიტში მონაწილეობის მიღებას. წლის განმავლობაში როგორც ზეპირსიტყვიერად, ისე წერილობით იურისტის მიერ გაეწია კონსულტაციები პერსონალსა და სტუდენტებს არაერთ საუნივერსიტეტო სამართლებრივ საკითხზე.

იურისტი ჩართული იყო დისციპლინური კომისიის მუშაობაში და ახორციელებდა წარმომადგენლობას და ამყარებდა კომუნიკაციას საჯარო უწყებებთან. იღებდა მონაწილეობას კერძო ორგანიზაციებთან / პირებთან მოლაპარაკების პროცესში.

საქმისწარმოების მენეჯერი

2022 წლის 1 სექტემბერიდან - 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით განხორციელდა უნივერსიტეტის საქმისწარმოების პროცესის ორგანიზება და კოორდინირება. საქმისწარმოების ჟურნალებისა და სხვა დოკუმენტების წარმოება.



მატერიალური სახით და ელექტრონული ფორმით შემოსული, გაგზავნილი და შიდა დოკუმენტების გაფორმება, საჭიროებისამებრ გადამისამართება, შესრულების ვადების კონტროლი და ადრესატისთვის დროულად მიწოდება.

ბრძანებების, ცნობების, წერილების და სხვა დოკუმენტების სისწორის შემოწმება, უნივერსიტეტის ბლანკებზე გადატანა, გაფორმება, ტექნიკური უზრუნველყოფა და ვადების დაცვით ადრესატისა და დაინტერესებული პირებისთვის გაგზავნა.

სტუდენტების და აკადემიური პერსონალის კითხვებზე (როგორც ონლაინ, ისე ადგილზე) პასუხის გაცემა ჩემი კომპეტენციის ფარგლებში და საჭიროებისამებრ გადამისამართება.

საფოსტო გზავნილების მომზადება და გაგზავნა. შემოსული წერილების მიღება და ადრესატისთვის გადაცემა.

სილქნეტის კორპორაციულ ქსელთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება.

აკადემიური კონკურსის გამოცხადების შემდეგ, განცხადების დასაქმების რომელიმე ცნობად გვერდზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსების უზრუნველყოფა. კონკურსის ჩატარების ორგანიზება, მისი ჩატარების უზრუნველყოფა, ოქმის შედგენა და გამარჯვებული კანდიდატების ინფორმირება.

უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნების და ჟურნალების კორექტურა

წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა დეტალურად:

| აქტივობის დასახელება და აღწერა | მიღებული შედეგი: | განხორციელების თარიღი: |
|---|---|--------------------------|
| შემოსული კორესპონდენციის, მიღება, შესაბამის ჟურნალში გატარება, ელექტრონულად ექსელის ფაილში გადატანა | 2315 წერილის მიღება, გატარება და გადასამართება | 1.09.2022- 31.08.2023 |
| გასაგზავნი კორესპონდენციის, ადრესანტისგან მიღება, ელექტრონულად ექსელის ფაილში გადატანა | 976 წერილის ბლანკებზე გადატანა, ნუმერაციის დატანა, გაფორმება და ელექტრონულად ან მატერიალური სახით | 1.09.2022- 31.08.2023 |



| | | |
|--|--|----------------------------|
| | გაგზავნა ადრესატთან | |
| შიდა კორესპონდენციის, მიღება, შესაბამისი ჟურნალში გატარება და ექსელის ფაილში გადატანა | 203 (ორასსამი) წერილის მიღება ადრესანტიდან და ადრესატისთვის გადაცემა. ადრესანტიდან მიღებული პასუხის ადრესატისთვის გადაცემა (საჭიროების შემთხვევაში) | 1.09.2022- 31.08.2023 |
| ბრძანებების ბლანკებზე გადატანა, გაფორმება, ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალში აღრიცხვა და ექსელის ფაილში გადატანა | 253 (ორასორმოცდაცამეტი) ბრძანების ბლანკებზე გადატანა, გაფორმება და დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა. ბრძანებების დრაივზე განთავსება | 1.09.2022- 31.08.2023 |
| აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება | კონკურსის ჩატარების ორგანიზება, ოქმის შედგენა არჩეული იქნა 1 (ერთი) ასოცირებული პროფესორი; 1 (ერთი) ასისტენტ-პროფესორი არჩეული პიროვნებების მონაცემების qms რეესტრში შეტანა არჩეულ კანდიდატებს ეცნობათ ელექტრონულ ფოსტაზე | 17.10.2022 - 30.11.2022 |
| აკადემიური თანამდებობის | კონკურსის ორგანიზება, | |



| | | |
|---|---|------------------------------------|
| <p>დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება</p> | <p>ოქმის შედგენა, არჩეულ იქნა 1 (ერთი) პროფესორი; 1 (ერთი) ასოცირებული პროფესორი;</p> <p>არჩეული პიროვნებების მონაცემების qms რეესტრში შეტანა.</p> <p>არჩეული პროფესორის ინფორმირება</p> | <p>17.12.2022 – 29.11.2022</p> |
| <p>აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება</p> | <p>კონკურსის ორგანიზება, ოქმის შედგენა, არჩეულ იქნა 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტი.</p> <p>არჩეული პიროვნებების მონაცემების qms რეესტრში შეტანა.</p> <p>არჩეული პროფესორის ინფორმირება</p> | <p>31.10.2022- 12.12.2022</p> |
| <p>აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება</p> | <p>კონკურსის ორგანიზება, ოქმის შედგენა, არჩეულ იქნა 2 (ორი) ასოცირებული პროფესორი; 2 (ორი) ასისტენტი</p> <p>არჩეული პიროვნებების მონაცემების qms რეესტრში შეტანა.</p> <p>არჩეული პროფესორის ინფორმირება</p> | <p>25.11.2022- 11.01.2023</p> |



| | | |
|---|---|------------------------------------|
| <p>აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება</p> | <p>კონკურსის ორგანიზება, ოქმის შედგენა, არჩეულ იქნა 2 (ორი) პროფესორი; 1 (ერთი) ასოცირებული პროფესორი. არჩეული პროფესორის ინფორმირება</p> | <p>16.12.2022 - 20.01.2023</p> |
| <p>აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება</p> | <p>კონკურსის ორგანიზება, ოქმის შედგენა, არჩეულ იქნა 9 (ცხრა) ასოცირებული პროფესორი. არჩეული პერსონალის ინფორმირება</p> | <p>21.12.2022- 01.02.2023</p> |
| <p>აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება</p> | <p>კონკურსის ორგანიზება, ოქმის შედგენა, არჩეულ იქნა 4 (ოთხი) ასოცირებული პროფესორი. 1 (ერთი) ასისტენტი. არჩეული პროფესორის ინფორმირება</p> | <p>27.12.2022 – 03.02.2023</p> |
| <p>აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება</p> | <p>კონკურსის ორგანიზება, ოქმის შედგენა, არჩეულ იქნა 11 (თერთმეტი) ასისტენტი. არჩეული პროფესორის ინფორმირება</p> | <p>30.12.2022- 07.02.2023</p> |



| | | |
|--|---|------------------------------------|
| <p>აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება</p> | <p>კონკურსის ორგანიზება, ოქმის შედგენა, არჩეულ იქნა 1 (ერთი) ასოცირებული პროფესორი; 2 (ორი) ასისტენტ-პროფესორი. 4 (ოთხი) ასისტენტი. არჩეული პროფესორის ინფორმირება</p> | <p>20.02.2023- 24.03.2023</p> |
| <p>აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება</p> | <p>კონკურსის ორგანიზება, ოქმის შედგენა, არჩეულ იქნა 1 (ერთი) ასოცირებული პროფესორი. არჩეული პროფესორის ინფორმირება</p> | <p>22.02.2023- 27.03.2023</p> |
| <p>აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება.</p> | <p>არ იქნა შემოტანილი განაცხადი</p> | <p>24.03.23</p> |
| <p>აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება.</p> | <p>კონკურსის ორგანიზება, ოქმის შედგენა, არჩეულ იქნა 6 (ექვსი) ასოცირებული პროფესორი. არჩეული პროფესორის ინფორმირება</p> | <p>29.03.2023 – 03.05,2023</p> |
| <p>აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე</p> | <p>კონკურსის ორგანიზება, ოქმის შედგენა, არჩეულ იქნა 2 (ორი) ასოცირებული პროფესორი; 2 (ორი)</p> | <p>4.04.2023 – 10.05,2023</p> |



| | | |
|--|--|------------|
| და hr.ge-ზე განთავსება | ასისტენტი. არჩეული პროფესორის ინფორმირება | |
| აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება | კონკურსის ორგანიზება, ოქმის შედგენა, არჩეულ იქნა 6 (ორი) ასოცირებული პროფესორი; 1 (ერთი) ასისტენტ-პროფესორი არჩეული პროფესორის ინფორმირება | 17.07.2022 |
| უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნების და ჟურნალების კორექტურა | | 2022-2023 |